186
1984

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1984 წ.

17.876

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერ—დეკემბერი 1985 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

86. ქალაქ სოხუმში დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის უკეთ შეხამებისათვის ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ.

87. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 738 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

88. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.

ქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89. მწერალ ნოდარ დუმბაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

90. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 739 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლი შესახებ.

91. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის დებულების დამტკიცების შესახებ.

92. ორგანიზაციათა ბალანსიდან შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯებისა და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯების ჩამოწერის შესახებ.

93. საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დროებითი დებულების, აგრეთვე ამ ცენტრთან არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულებისა და მაღაზია-სალონ „სიახლის“ დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

94. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

86 ქალაქ სოხუმში დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის უკეთ შეხამებისათვის ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ[1]

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ეკონომიკური ექსპერიმენტის მომზადებისა და განხორციელებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ მოწონებული საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ, მოყოლებული 1984 წლის ნოემბრიდან, ქალაქ სოხუმში განხორციელდეს ეკონომიკური ექსპერიმენტი ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვისა და მართვის უფრო მეტი კომპლექსურობისა და ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და გარდაიქმნას ამ მიზნით სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისია აღნიშნული აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებად.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ სოხუმში არსებობს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებები და ტურისტული ბაზები, აგრეთვე საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობისა და დამსვენებელთა საყოფაცხოვრებო და სხვაგვარ მომსახურებას, და მომსახურების დონის ამაღლებისა და ამ სფეროს გაფართოებისათვის მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიღებულ იქნეს ქალაქ სოხუმის ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების წინადადება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამეურნეოანგარიშიანი საბინაო-საშუამავლო ბიუროს ბაზაზე ამავე სამმართველოს სისტემაში კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ შექმნის შესახებ.

2. დამტკიცდეს:

ა) დროებითი დებულება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ და დროებითი დებულება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღ-

1) № 1 — № 5 დანართები არ მოიყვანება

მასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ შესახებ;

ბ) ნუსხა ქალაქ სოხუმის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისა, რომლებიც ექვემდებარებიან სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებას აღნიშნული გაერთიანების დროებითი დებულების მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, № 1 დანართის თანახმად;

გ) სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებისა და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ სტრუქტურა და საშტატო განრიგები, № 2 და 3 დანართების თანახმად.

დაუწესდეთ თანამდებობრივი სარგოები:

— ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1059 დადგენილების № 1 დანართის (№ 6 ცხრილი) შესაბამისად, ხოლო გაერთიანების აპარატის დანარჩენ მუშაკებს —სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1060 დადგენილების № 4 დანართის (№ 3 ცხრილი) შესაბამისად;

— კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ მუშაკებს — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მუშაკთათვის დაწესებული სარგოების მიხედვით;

დ) ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებისა და კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ შენახვის ზღვრული ასიგნებანი იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც აქვს გამოყოფილი სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს ბიუჯეტით საგეგმო კომისიისათვის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საბინაო-საშუამავლო ბიუროსათვის, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი, რომლებსაც გადასცემენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები დადგენილი წესით, № 4 და 5 დანართების თანახმად.

3. სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ და აფ-

ხაზეთის ასსრ იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომელთა საწარმოები და ორგანიზაციები განლაგებულია ქალაქ სოხუმში, ერთი თვის ვადაში დაამთავროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებიდან გადასაცემი სახსრების ოდენობისა და პროცენტული განაკვეთების განსაზღვრა აღნიშნული გაერთიანების დროებითი დებულების 47-ე და 48-ე პუნქტების შესაბამისად.

აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ერთი თვის ვადაში შეიტანონ საჭირო ცვლილებანი შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების საფინანსო გეგმებში.

4. სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის აფხაზეთის რესპუბლიკურმა კანტორებმა ერთი თვის ვადაში გადაწყვიტონ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებისა და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „სერვისისათვის“ შესაბამისი ანგარიშების გახსნის საკითხი ფულად-საანგარიშსწორებო და სხვა ოპერაციების განსახორციელებლად.

5. საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ საწარმოები და ორგანიზაციები ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე, აგრეთვე ამ ქალაქში განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა, საწარმოო გაერთიანებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინონ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების უფლება-მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია აღნიშნული გაერთიანების დროებითი დებულებით.

6. სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ გაითვალისწინონ, მოყოლებული 1985 წლიდან, კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატ „სერვისისათვის“ რკინიგზისა და საავიაციო ბილეთების ლიმიტების გამოყოფა აღნიშნული კომბინატის განაცხადების მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ 1985-1986 წლებში კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს „სერვისს“ გამოეყოს მიზნობრივი დანიშნულებით იმდენი მიკროავტობუსი, რაც უზრუნველყოფს ქალაქ სოხუმში საგზურებისა და საკურსე ბარათების გარეშე ჩასულ დამსვენებელთა მომსახურებას;

გ) საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წინადადებანი ბინის გამქირავებელთა პასუხისმგებლობის შესახებ, თუ ისინი დაარღვევენ ბინის გასაქირავებლად ჩაბარების და საგზურებისა და საკურსე ბარათების გარეშე დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეთა რეგისტრაციის წესს, რომელიც განსაზღვრულია სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ დროებითი დებულებით;

დ) აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღოს ზომები კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ მეშვეობით ქალაქ სოხუმში დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეთა დაბინავებისა და რეგისტრაციის წესების დაცვისათვის ადმინისტრაციული და საფინანსო ორგანოების, სანატორიულ-საკურორტო და ტურისტული დაწესებულებების, სანახაობითი საწარმოების, სასწავლო, სპორტული და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად;

ე) ნება დაერთოს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ექსპერიმენტის განხორციელების დროისათვის კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაონ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების საქმიანობის ბალანსისა და დროებითი პერიოდული კრებსით-დარგთაშორისი ანგარიშგების ფორმები და დააწესონ

აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ შესაბამის ზემდგომ ორგანოებში მათი წარდგენის ვადები.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ შესაბამისმა ორგანოებმა რეგულარულად უზრუნველყონ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი საინსტრუქციო, მეთოდიკური და სხვა ნორმატიული მასალებით.

9. საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაონ და განახორციელონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელებისათვის ქალაქ სოხუმის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის მობილიზაციის ღონისძიებათა კომპლექსი, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ მთელი მუშაობა საბოლოო საწარმოო შედეგების გაუმჯობესების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას, უფრო აქტიურად ურთიერთმოქმედონ რესპუბლიკის ცენტრალურ საუწყებათაშორისო ორგანოებთან და გადაწყვიტონ ეკონომიკური ექსპერიმენტის მსვლელობაში წამოჭრილი საკითხები მათთან შეთანხმებით, სახელმწიფო ინტერესების პირველ რიგში დაცვის პრინციპიდან გამომდინარე.

10. სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ეკონომიკური ექსპერიმენტის მომზადებისა და განხორციელებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ (ამხ. ჭითანავა) გაუწიოს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს ყოველდღიური მხარდაჭერა ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებაში სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დროებითი დებულებითა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ დროებითი დებულებით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე, რეგულარულად შეისწავლოს აღნიშნული გაერთიანებისა და კომბინატის ფუნქციონირების პრაქტიკა და

საჭიროების კვალობაზე მიიღოს ზომები მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების მოსაგვარებლად.

11. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ და ეკონომიკის განყოფილებამ აფხაზეთის ასსრ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ 1985 წლის დამლევისათვის მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს ქალაქ სოხუმში ეკონომიკური ექსპერიმენტის მიმდინარეობის წინასწარი შედეგების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 20 ნოემბერი № 789.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 20 ნოემბრის № 789 დადგენილებით

დროებითი დებულება

სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება (შემდგომში გაერთიანებად წოდებული) იქმნება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის ბაზაზე და არის ერთიანი სამეურნეოანგარიშიანი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ტერიტორიულ და დარგთაშორის მართვას.

გაერთიანება იქმნება დაგეგმვასა და მართვაში დარგობრივი და ტერიტორიული ფორმებისა და მეთოდების რაციონალური შეხამების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კონსტიტუციურ უფლებათა პრაქტიკული რეალიზაციის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა მაღალეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის, ქალაქის საკურორტო მეურნეობის მომსახურე დარგთა განვითარების მიზნით. გაერთიანება უზრუნველყოფს დარგთაშორისი კავშირურთიერთობის კოორდინაციას, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოვლენასა და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას, მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების პირველ რიგში დაცვით.

2. გაერთიანება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონმდებლობით, საქართველოს სსრ კანონმდებლობითა და აფხაზეთის ასსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებებითა და მითითებებით, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დროებითი დებულებით.

ქალაქის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და მისი მეურნეობის მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამების გაუმჯობესებისათვის თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის № 292 დადგენილებით „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის 22 დეკემბ-

რის დადგენილებით „მართვის სისტემის სრულყოფის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 10 აპრილის პლენუმის დადგენილებით „სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა ფუძემდებელი გადაწყვეტილებებით.

3. გაერთიანება მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფს მმართველობის აპარატის შენახვის დანახარჯების სრულ ანაზღაურებას, იყენებს მისთვის მიჩენილ სახსრებს, ახორციელებს თავის საქმიანობას ამ დროებითი დებულებით გათვალისწინებული დასახული გეგმების შესაბამისად, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

გაერთიანება ექვემდებარება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. გაერთიანებას მეთოდიკურ დახმარებას უწევს აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

4. გაერთიანების შემადგენლობაში შედიან ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები, № 1 დანართის თანახმად.

5. გაერთიანება, ეკონომიკური მიზანშეწონილობის, დარგთაშორისი და ტერიტორიული მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქმნის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და წარმოებებს, რომლებიც განკუთვნილია სახალხო მოხმარების საქონლის, დარგთაშორისი გამოყენების პროდუქციის გამოსაშვებად, ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების გადასამუშავებლად, საწარმოო ხასიათის მომსახურების გასაწევად, ამასთან ახორციელებს ერთიანი შემკვეთის ფუნქციებს, შემდგომ მათი დაქვემდებარების (ორმაგი ან უშუალო) საკითხის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად გადაწყვეტით. უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ გაერთიანება ასრულებს სამეურნეო მართვის ზემდგომი ორგანოს ფუნქციებს.

6. ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებსა და წინანდელ დაქვემდებარებას შესაბამისი სამინისტროს (უწყების) მიმართ, ხოლო მიწათსარგებლობის, მშენებლობის, შრომითი და ადგილობრივი მატერიალური რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, ბუნებისა და გარემოს დაცვის, ქალაქის სასურსათო პროგრამის განხორციელების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, შემხვედრი დაგეგმვის და საერთო-საქალაქო საჭიროებისათვის მატერიალური და ფინანსური სახსრების კოოპერირების საკითხებში ექვემდებარებიან გაერთიანებას.

7. ქალაქ სოხუმში განლაგებული საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებსა და წინანდელ დაქვემდებარებას შესაბამისი სამინისტროს

(უწყების) მიმართ, ხოლო მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის, შემ-ხვედრი დაგეგმვის, მატერიალური (მათ შორის ადგილობრივი), ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარ-მოების (მათ შორის ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით), საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, მიწათსარგებლობის, ბუნებისა და გარემოს დაცვის, საერთო-საქალაქო საჭიროებისათვის მატერიალური და ფინანსური სახსრების კოოპერირების საკითხებში ექვემდებარებიან გაერთია-ნებას.

8. გაერთიანება თავის საქმიანობას ახორციელებს სოხუმის სახალხო დე-პუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხვა დარგობრივ განყოფილებებთან, სამმართველოებთან და სამსახურებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, ამასთან კოორდინაციას უწევს ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებულ სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესე-ბულებათა მუშაობას. გაერთიანება აწესებს აღნიშნული დარგებისა და სამსა-ხურების დარგთაშორის კავშირურთიერთობას.

9. გაერთიანების, როგორც ქალაქ სოხუმის ეკონომიკის მართვის დარგთა-შორისი ტერიტორიული ორგანოს, მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— კომპლექსურად განავითაროს ქალაქის ეკონომიკა, როგორც აფხაზე-თის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი, გაადიდოს ქალაქის მეურნეობის წვლილი აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში საზოგადოებრივი წარ-მოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო კოოპერაციისა და სპეციალი-ზაციის განვითარების და დაგეგმვასა და მართვაში დარგობრივი და ტერიტო-რიული ინტერესების უკეთ შეხამების საფუძველზე;

— შეიმუშაოს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები და დააწესოს ოპერატიული კონტროლი ამ გეგმების შესრულებისადმი;

— ეფექტიანად გამოიყენოს გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი წარმოებათა განვითარებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარე-ბისა, ქალაქში, რეგიონში არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინე-ბით, შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება;

— ყოველმხრივ გაადიდოს სახალხო მომხარების საქონლის წარმოება და მოსახლეობის მომსახურების მოცულობა, მაქსიმალურად გამოიყენოს ამ მიზნით ადგილობრივი მატერიალური რესურსები, წარმოების ნარჩენები და მეორეული ნედლეული;

— გააუმჯობესოს ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველ-ყოფა და სოციალურ-კულტურული მომსახურება, პროპორციულად განავითა-როს საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურა;

— დაამყაროს და სრულყოს საწარმოო კავშირურთიერთობა ქალაქის შიგნით, აგრეთვე სხვა აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სსრ და მთლიანად ქვეყნის სხვა რაიონებთან, ქალაქებთან, ქალაქის სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის საუკეთესო კოორდინაციის მიღწევის მიზნით;

— გადაწყვიტოს საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებიდან გამომდინარე ამოცანები;

—ყოველმხრივ აამაღლოს საკურორტო მომსახურების ხარისხი და გააფართოოს მისი სფერო, გააუმჯობესოს დამსვენებელთა მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა;

— განახორციელოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ოპერატიული მართვის ფუნქციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ამასთან გამოიყენოს პარტნიორობის პრინციპები, სამეურნეო ანგარიშის ბერკეტები და მართვის ეკონომიკური მეთოდები ადგილობრივი მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების სრული და ეფექტიანი მოხმარების უზრუნველსაყოფად;

— განახორციელოს საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად მუშაობა გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონის შესასწავლად და ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესების, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლების, ახალ სახეობათა მაღალეფექტიანი პროდუქციის ათვისებისა და დანერგვის მიზნით;

— უზრუნველყოს დარგთაშორისი კოოპერაციის ფართოდ განვითარება, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების აკუმულაცია და მათი წარმართვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარებისათვის, გარემოს დასაცავად, სახალხო მოხმარების საქონლისა და დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად;

—გააუმჯობესოს მეცნიერული გამოკვლევებისა და ტექნიკური ნამუშევრების ორგანიზაცია საწარმოო პროცესთა სრულყოფისა და შრომის ეფექტიანობის ამაღლების დარგში, დანერგოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, მონაწილეობა მიიღოს ახალი პროდუქციის გამოშვების ორგანიზაციაში, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობაში და უხელმძღვანელოს მას, შეამციროს ხელის შრომის წილი;

— ყოველმხრივ უზრუნველყოს ადგილობრივი მრეწველობის განვითარება ძირითადად ადგილობრივი ნედლეულის რესურსებისა და მახლობელი რაიონების (ზონის) რესურსების ბაზაზე, შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სახალხო მოხმარების საქონელზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის;

— განახორციელოს ქალაქის სასურსათო პროგრამა და ორგანიზაცია გაუწიოს ამ მიზნით ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის გადამუშავებას, გააუმჯობესოს სამაცივრო მეურნეობა კვების მრეწველობის საწარმოებში, ხელი შეუწყოს დამხმარე საწარმოთა, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა განვითარებას;

— უზრუნველყოს სტაბილური საფინანსო საქმიანობა, გამონახოს დადგენილი წესით დამატებითი წყაროები და შექმნას შესაბამისი საფინანსო რესურსები ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა მონაწილეობით;

— მაქსიმალურად გამოიყენოს პირველადი და მეორეული რესურსები, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი იმისათვის, რათა ქალაქის მრეწველობა „უნარჩენო“ გახდეს;

— განახორციელოს გარემოს დაცვის ღონისძიებათა კომპლექსი, უზრუნველყოს ბუნების რაციონალური გამოყენება;

— ორგანიზაცია გაუწიოს ქალაქის მშრომელთა ფართო მონაწილეობას სოციალისტური შეჯიბრების განვითარებასა და წარმოების მართვაში.

10. გაერთიანება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა პროექტების მომზადებისას, აგრეთვე ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის უკეთ გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას ითვალისწინებს ამომრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, შრომითი კოლექტივების წინადადებებს.

II. გაერთიანების მართვა

11. გაერთიანების მართვა ხორციელდება ქალაქის საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში ერთმმართველობისა და კოლეგიურობის შეხამების საფუძველზე.

12. გარეთიანების შტატები იქმნება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის მმართველობის აპარატის საშტატო ერთეულებისა და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე.

იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანება ახორციელებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის მართვისა და კოორდინაციის ფუნქციებს, აგრეთვე ასრულებს სამუშაოებს, რომელთა მიზანია ქალაქ სოხუმის ეკონომიკური პოტენციალის უკეთ გამოყენება (კომერციული მუშაობის ორგანიზაცია, რესურსებისა და საწარმოო სიმძლავრეების უკეთ გამოყენებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება, და სხვ.), გაერთიანებას უფლება ენიჭება მიიზიდოს საშტატო ერთეულები ქალაქ სოხუმის საწარმოების, გაერთიანებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მისთვის გადაცემული მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტისა და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე (საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და საქართველოს ყრუთა საზოგადოების საწარმოებისა და ორგანიზაციების გარდა).

გაერთიანებას მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტები და მათი შენახვის ზღვრული ასიგნებანი გადაეცემა დადგენილი წესით შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა თანხმობით.

13. გაერთიანების ორგანიზაციულ სტრუქტურას (განყოფილებები და სამსახურები) ამტკიცებს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

14. გაერთიანებას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც თანამდებობის მიხედვით ამავე დროს არის სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გაერთიანების უფროსსა და მის მოადგილეებს ამტკიცებენ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგია.

15. გაერთიანების უფროსი:

— ორგანიზაციას უწევს გაერთიანების მთელ მუშაობას და ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მისი საქმიანობისათვის;

— გაერთიანების სახელით წარმოადგენს მას, როგორც აღმასკომის ორგანოს, ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს გაერთიანების ქონებას, დებს ხელშეკრულებებს და გასცემს მინდობილობებს, ხსნის სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს;

— გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით მიიღებს სამუშაოზე და დაითხოვს სამუშაოდან გაერთიანების აპარატის მუშაკებს, წარუდგენს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადებებს გაერთიანების გაძლიერებისა და განმტკიცების შესახებ, იყენებს მორალური და მატერიალური წახალისების, აგრეთვე დისციპლინური დასჯის არსებულ ფორმებსა და მეთოდებს;

— განსაზღვრავს გაერთიანების უფროსის მოადგილეთა, განყოფილებებისა და სამსახურების უფროსთა ამოცანებს, ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს მათი საქმიანობის შესახებ;

— შეაქვს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში წინადადებანი გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკთა საშტატო განრიგისა და მათი შენახვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ გამოყოფილ ზღვრულ ასიგნებათა საერთო თანხის ფარგლებში.

16. კონტროლს გაერთიანების საქმიანობისადმი ახორციელებს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად, საჭიროების კვალობაზე დაინტერესებული ორგანიზაციებისა და უწყებების მონაწილეობით.

17. ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ინტერესების ქალაქის კომპლექსური განვითარების ინტერესებთან რაციონალური შეხამების და ქალაქის საერთო ეკონომიკური პოტენციალის უკეთ გამოყენების მიზნით სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია დადგენილი წესით ქმნის გაერთიანების საბჭოს, რომლის რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამტკიცებს და ცვლის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო.

გაერთიანების საბჭოში შედიან: გაერთიანების უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეები, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებების, სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორის, აფხაზმომარაგების, შრომითი მოწყობის ბიუროს, აფხაზეთის ასსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებისა და სხვა ძირითად განყოფილებათა და სამმართველოთა უფროსები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აფხაზეთის განყოფილების

ხელმძღვანელები, გაერთიანების ძირითად განყოფილებათა უფროსები, მეცნიერები, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ მსხვილ გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტები და სამეურნეო ხელმძღვანელები.

18. გაერთიანების საბჭო თავის სხდომებზე, რომლებიც ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც, განიხილავს:

— ქალაქ სოხუმის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური კომპლექსური გეგმების პროექტებს, ამასთან შეაქვს მათში ქალაქის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამეცნიერო დაწესებულებათა გეგმების ანალოგიური პროექტების მაჩვენებლები, მათთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებს მათი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭირო ოპტიმალური და შეწონასწორებული გეგმების განსაზღვრის მიზნით;

— წინადადებებსა და შენიშვნებს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, რეგიონალური და სხვა პროგრამების გამო;

— მშენებლობათა სატიტულო სიებს საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობის ნაწილში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომელთაც წარუდგენენ შესათანხმებლად შემკვეთები მშენებლობის ადგილსამყოფელის მიხედვით სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, იმ მიზნით, რომ აღნიშნული ობიექტების მშენებლობა დანახარჯების მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების მიხედვით შეესაბამებოდეს საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დავალებებს;

— ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის, სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა, შრომითი რესურსების, ქალაქ სოხუმის მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსებსა და ქალაქის კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო სხვა ბალანსებს;

—ანგარიშებს საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, სიმძლავრეთა, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენების საკითხებს;

— წინადადებებს გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გადასარიცხი სახსრების ოდენობის, აგრეთვე მათი განაწილებისა და გამოყენების შესახებ;

— ქალაქის ეკონომიკის მართვის ფორმებისა და მეთოდების, სამეურნეო მექანიზმის, წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის საკითხებს;

— ქალაქისა და რესპუბლიკის მასშტაბით რაციონალური შინადარგობრივი და დარგთაშორისი კავშირურთიერთობის დამყარების საკითხებს;

— ქალაქ სოხუმის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობებისა და დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზ-

ნით საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებისა და ღონისძიებების კოორდინაციის საკითხებს;

— საწარმოებსა და გაერთიანებებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სახალხო მოხმარების (მათ შორის საკურორტო) საქონლის წარმოების გეგმათა პროექტებს;

— სასურსათო პროგრამის შესრულების შედეგებს, სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების, კვების მრეწველობის საწარმოებში მეორეული რესურსებისა და ნარჩენების გადამუშავების ღონისძიებებს;

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილება-გადანაწილებისა და საქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების გამოყენების საკითხებს აფხაზმომარაგებისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების, ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით;

— გაერთიანებათა, საწარმოთა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა შორის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების და გაერთიანების ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების საკითხებს;

— ქალაქ სოხუმის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე სხვა საკითხებს;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ქალაქის შრომითი კოლექტივების წახალისების ღონისძიებებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრის შედეგად ხმის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და სამეურნეო ორგანიზაციისათვის.

19. გაერთიანების საბჭოს შეაქვს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განსახილველად და გადასაწყვეტად საერთო-საქალაქო მასშტაბის უმნიშვნელოვანესი საკითხები. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხებზე სავალდებულოა როგორც გაერთიანებისათვის, ისევე ქალაქის შესაბამისი საწარმოების, საწარმოო გაერთიანებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

20. გაერთიანებას უფლება აქვს:

ა) საჭირო შემთხვევებში მიიზიდოს ქალაქ სოხუმის ცალკეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესამუშავებლად ქალაქის სამეცნიერო-კვლევითი, ტექნოლოგიური, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა დაწესებულებანი, აგრეთვე ცალკეული მეცნიერები, სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი, რომლებიც ამ შემთხვევებში განთავისუფლდებიან ძირითად სამუშაო ადგილზე საწარმოო (სამსახურებრივ) მოვალეობათა შესრულებისაგან წელიწადში ორ კვირამდე ვადით, ამასთან შეუნარჩუნდებათ საშუალო გამომუშავება და აუნაზღაურდებათ გაერთიანების დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებული სამივლინებო ხარჯები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

14.876

ბ) მიიღოს დადგენილი წესით:

—სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისაგან, სამმართველოებისა და სამსახურებისაგან და ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო-ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, გაერთიანების მუშაობისათვის საჭირო საგეგმო, გაანგარიშებითი და საანგარიშგებო მონაცემები და სხვა მასალები;

— ქალაქ სოხუმის სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურისა და ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოსაგან, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებისაგან, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ფასების განყოფილებისაგან, აფხაზეთის ასსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტისაგან, აფხაზმომარაგებისა და სხვა საუწყებათაშორისო ორგანოებისაგან სტატისტიკური და სხვა მასალები, რომლებიც საჭიროა გეგმათა პროექტების შესამუშავებლად და მათი შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად, გაერთიანების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე წინადადებათა შესამუშაველად და ღონისძიებათა განსახორციელებლად;

გ) მოისმინოს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა, სამმართველოთა და სამსახურთა, აგრეთვე ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშები და ინფორმაციები და მიიღოს გადაწყვეტილებანი გაერთიანების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

III. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

21. ყოველმხრივი ანალიზის, პროგნოზირებისა და მეცნიერული ნამუშევრების საფუძველზე გაერთიანება:

— შეიმუშავებს ქალაქის მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა დარგების, აგრეთვე საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად მიმართულებებს და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს, ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა საგეგმო-ეკონომიკური სამსახურების მუშაობას, ამყარებს მჭიდრო კავშირურთიერთობას შესაბამის დარგობრივ ორგანოებთან, განიხილავს მათთვის დაგზავნილ საკონტროლო ციფრებსა და გეგმათა პროექტებს და გასცემს მათ გამო დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც ამავე დროს წარუდგენს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საჭირო შემთხვევებში აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

— მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა მიმართულების განსაზღვრაში, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების პროგრამების შემუშავებაში;

ს. ქ. სსრ კ. მარქსის

— შეიმუშავებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ხუთწლიან და წლიურ გეგმებს, უგზავნის საწარმოებსა და გაერთიანებებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, ამ მიზნით ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის გამოყენების დავალებებს;

— ადგენს ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის, სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეების, შრომითი რესურსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსებსა და ქალაქ სოხუმის კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო სხვა ბალანსებს;

— განიხილავს და ამტკიცებს გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფარგლებში მათს განაწილებას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა განაცხადების საფუძველზე;

— უმტკიცებს უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს და დადგენილი წესით უცვლის მათ პროდუქციის წარმოების, კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა მაჩვენებელთა დავალებებს გაერთიანებისათვის დაწესებული გეგმების ფარგლებში, განიხილავს სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის საშენი და სხვა მასალების მიწოდების და სამეურნეო წესით სამუშაოთა შესრულების მოცულობებს, ამტკიცებს გეგმების შესრულებისათვის საჭირო ნავთობპროდუქტებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდების ლიმიტების განაწილებას;

— შეაქვს შესაბამისი ცვლილებანი კრებსითი გეგმების ყველა ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელში ზემდგომი ორგანოებისა და უწყებების მიერ საგეგმო დავალებათა შეცვლისას; ზემდგომი სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების კორექტირება ხდება გაერთიანებასთან შეთანხმებით.

22. გაერთიანებას შეუძლია ცენტრალიზებული გახადოს ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულება (დარგთაშორისი გამოყენების პროდუქციის დამზადება, სატრანსპორტო-საწარმოო მომსახურება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და ა. შ.) ქალაქის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

გაერთიანებას შეუძლია ცენტრალიზებული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულება დააკისროს ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ან საჭიროების კვალობაზე მიიღოს ზომები ამ მიზნით სპეციალიზებულ ქვედანაყოფთა შესაქმნელად სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის საფუძველზე, შესაბამისი დარგობრივი ორგანოების თანხმობით.

გაერთიანება ახორციელებს ღონისძიებებს ქალაქის შიგნით, აგრეთვე სხვა რეგიონების საწარმოებთან რაც შეიძლება რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის დასამყარებლად.

23. გაერთიანება რეგულარულად განიხილავს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა შესრულების შედეგებს და საჭიროების კვალობაზე წარუდგენს მათ განსახილველად სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს კპ საქალაქო კომიტეტსა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში

24. გაერთიანება:

— საწარმოთა და ორგანიზაციათა შესაბამის სამსახურებთან ერთად სისტემატურად აანალიზებს წარმოების ტექნიკურ დონეს, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხს, საიმედოობასა და ხანგამძლეობას;

— აანალიზებს საწარმოებსა და გაერთიანებებში ახალი ტექნიკის დანერგვის მდგომარეობას, მონაწილეობს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტების შემუშავებაში, აწესებს კონტროლს ამ დარგში გეგმის შესრულებისადმი და საჭიროების კვალობაზე ამზადებს წინადადებებს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განსახილველად წარდგენის მიზნით, ყოველმხრივ ხელს უწყობს გაუმჯობესებული და ახალი სახეობების ნაკეთობათა წარმოების ათვისებისათვის დარგობრივი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას;

— მონაწილეობს ახალ სახეობათა პროდუქციის შემუშავების, ათვისებისა და დანერგვის დავალების განსაზღვრაში;

— ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სამუშაოთა კოორდინაციას, რომელთაც ასრულებენ სამეცნიერო ორგანიზაციები ქალაქ სოხუმის მასშტაბით;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადგილობრივი განყოფილებისა და ქალაქის სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ძალებით ახორციელებს ქალაქ სოხუმის მატერიალური წარმოების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების კომპლექსური განვითარების პრობლემათა ეკონომიკურ და სოციოლოგიურ გამოკვლევებს;

— ქალაქ სოხუმის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს მუშაობას გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონის გამოსაკვლევად და შეიმუშავებს ღონისძიებებს ნაკეთობათა ხარისხის გასაუმჯობესებლად, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ასამაღლებლად, ხელმძღვანელობს ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებას;

— ხელს უწყობს ხელის შრომის წილის შემცირებას, ტექნოლოგიურ პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას.

კაპიტალური მშენებლობის დარგში

25. გაერთიანება:

— ქალაქ სოხუმის სოციალური განვითარების პროგნოზებისა და მეცნიერული ნამუშევრების საფუძველზე აქტიურად მონაწილეობს ქალაქში განლაგებულ მოქმედ წარმოებათა, საწარმოთა და გაერთიანებათა რეკონსტრუქციისა და გაფართოების და ახლის მშენებლობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრაში, განიხილავს მათი კაპიტალური მშენებლობის, რეკონსტრუქციისა

და კვლავაღჭურვის ხუთწლიან და წლიურ გეგმებს, შეიმუშავებს წინადადებებს და შეაქვს ცვლილებანი გეგმათა პროექტებში, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად აწესებს კონტროლს და ხელმძღვანელობს მუშაობას ამ გეგმების შესრულებისათვის;

— იღებს შემკვეთებთან და მოიჯარეებთან ერთად ზომებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისათვის, იმ ვარაუდით, რომ ისინი პირველ რიგში მოხმარდეს მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ კვლავაღჭურვას, ასამუშავებელ მშენებლობებზე სახსრების კონცენტრაციისათვის, ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისათვის, მშენებლობის ღირებულების შეზცირებისათვის, ხარისხის ამაღლებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებისათვის.

26. შემკვეთი საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, უთანხმებენ გაერთიანებას ქალაქ სოხუმის მშენებლობათა სატიტულო სიებს საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობის ნაწილში, იმ ვარაუდით, რომ ამ ობიექტების მშენებლობა დანახარჯების მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების მიხედვით უკავშირდებოდეს საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

27. გაერთიანება საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამის დარგობრივ სამმართველოსთან (განყოფილებასთან) ერთად:

— განსაზღვრავს და წარმართავს აკუმულირებულ სახსრებს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განსავითარებლად მათი რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების მიზნით;

— ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან დადებულ საიჯარო ხელშეკრულებათა მიხედვით, კონტროლს უწევს მშენებლობის მიმდინარეობას პროექტების მოთხოვნათა შესრულების გათვალისწინებით და იცავს გეგმით დაწესებულ ვადებს;

— კოორდინაციას უწევს მუშაობას ასამოქმედებელ საწარმოო სიმძლავრეთა გათვალისწინებულ ვადებში ათვისებისათვის.

28. გაერთიანება:

ა) საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით:

— კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენისას შეიტანს წინადადებებს ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კომუნალური მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა) განვითარებისათვის სახსრების გამოყოფის საკითხებზე და შეუთანხმებს მათ დაინტერესებულ ორგანოებს;

— შეიტანს წინადადებებს საუწყებათაშორისო დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად წილობრივ საწყისებზე დამხმარე წარმოებათა მშენებლობის შესახებ;

ბ) უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების მიხედვით:

— შეიმუშავებს საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმებს და ხელმძღვანელობს მუშაობას ამ გეგმების განხორციელებისათვის;

— მიღებულ წინადადებათა საფუძველზე შეიმუშავებს საკუთარი დაქვემდებარების ობიექტების კაპიტალური მშენებლობის, საუწყებათაშორისო და დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციის წარმოების გეგმებს და ხელმძღვანელობს მუშაობას ამ გეგმების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

29. გაერთიანება ზემდგომი ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს მშენებლობადამთავრებულ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიის მუშაობაში, ამ ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ მათი მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვების დახურვაში.

სასურსათო პროგრამის განხორციელების დარგში

30. გაერთიანება საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად:

— შეიმუშავებს ქალაქის დამხმარე მეურნეობებში, მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობებში და მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს;

— ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, დამზადების ზრდას, მათი შენახვის, ტრანსპორტირებისა და სამრეწველო გადამუშავების გაუმჯობესებას, აგრეთვე ძირითად სახეობათა სურსათის წარმოების მოცულობის გადიდებასა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას;

—ხელს უწყობს პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარებით ქალაქ სოხუმის მოსახლეობის დაინტერესების გაძლიერებას, მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობების შესაქმნელად გამოყოფილი მიწის ფონდის მაღალეფექტიან გამოყენებას;

— ხელს უწყობს ქალაქის საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა საშეფო კავშირურთიერთობის დამყარებას მახლობელი რაიონების კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე;

— ორგანიზაციას უწევს საწარმოებში, ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის ობიექტებში კვების ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის აღრიცხვას, განსაზღვრავს მათი გამოყენების მიმართულებას, ხელს უწყობს მრეწველობის საწარმოებში სასურსათო საქონლისა და კომბინირებული საკვების წარმოებისათვის ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის გადამუშავების ორგანიზაციას და პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესთა დანერგვას.

სახალხო მოხმარებისა და საკურორტო დანიშნულების საქონლის წარმოების გაფართოების, საწარმოო რესურსებისა და ნარჩენების გამოყენების გაუმჯობესებისათვის კომერციული მუშაობის განხორციელების დარგში

31. გაერთიანება:

— ორგანიზაციას უწევს სახალხო მოხმარებისა და საკურორტო დანიშნულების საქონლის ასორტიმენტზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლას და ხელმძღვანელობს მუშაობას ამ საქონლის წარმოების კრებსითი პერსპექტიული და წლიური გეგმების შესადგენად, აწესებს კონტროლს დამტკიცებული გეგმების შესრულების მიმდინარეობისადმი;

— ხელს უწყობს საწარმოებსა და ორგანიზაციებს მოსახლეობისა და დამსვენებელთა მოთხოვნილების გათვალისწინებით სახალხო მოხმარებისა და საკურორტო დანიშნულების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის სამრეწველო ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენებაში;

— შეაქვს ზემდგომ დარგობრივ ორგანოებში წინადადებანი მოძველებული და მოთხოვნილების არმქონე პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის შესახებ; დარგობრივი ორგანოს უარის შემთხვევაში უფლება აქვს დააყენოს საკითხი აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, ხოლო საჭიროების შემთხვევებში აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე;

— ხელს უწყობს საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა განხორციელებას, სახალხო მოხმარებისა და საკურორტო დანიშნულების საქონლის წარმოების პროგრესული მეთოდების შექმნასა და დანერგვას; ამყარებს კავშირს სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების რესპუბლიკურ ცენტრს შორის ასეთი საქონლის ახალ სახეობათა შემუშავების ნაწილში;

— სწავლობს ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოებისათვის ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენების შესაძლებლობას და კოორდინაციას უწევს მუშაობას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის, ახორციელებს კონტროლს დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი;

— ორგანიზაციას უწევს კონტროლს და იღებს გადაუდებელ ოპერატიულ ზომებს სახალხო მოხმარების გამოსაშვები საქონლის ხარისხის ჯეროვანი დონის შენარჩუნებისათვის.

32. გაერთიანება განუწყვეტლივ სწავლობს გამოუყენებელი ნარჩენების, მასალების, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ჩაწოლილი მატერიალური რესურსებისა და ზედმეტი მოწყობილობის არსებობის მიზეზებს და აფხაზმომარაგების (საჭირო შემთხვევებში აგრეთვე საქართველოს სსრ სახმომარაგების) თანხმობით იღებს ზომებს მათი განაწილება-გადანაწილებისათვის რეალური ეკონომიკური უკუგებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა ეფექტის გათვალისწინებით.

33. გაერთიანება აუცილებლობის კვალობაზე დებს რესპუბლიკის საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, მიუხედავად

მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში მათი საქმიანობის კოორდინაციისა და წილობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან იყენებს აფხაზმომარაგების თანხმობით მატერიალურ რესურსებს დადგენილი წესით.

ქალაქ სოხუმში დამსვენებელთა საკურორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაერთიანება ყოვემხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სისტემაში შექმნილ კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს „სერვისს“.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში

34. მომარაგებისა და გასაღების მოქმედი სისტემის გათვალისწინებით გაერთიანება ახორციელებს საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კოორდინაციას. ამასთან:

ა) საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით:

— ახორციელებს კონტროლს და უწევს მათ დახმარებას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სფეროში, განიხილავს საწარმოებთან ერთად წარმოების პროგრამასთან გამოყოფილი ფონდებისა და ლიმიტების შეუსაბამობის საკითხებს და აუცილებლობის კვალობაზე იღებს მათთან ერთად ზომებს ასეთი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად;

— ახორციელებს ნორმატიული აქტების შესაბამისად, აფხაზმომარაგებასთან, ხოლო საჭირო შემთხვევებში აგრეთვე საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან შეთანხმებით, ღონისძიებებს მატერიალური რესურსების ზენორმატიული ნაშთების ოპერატიული და რაციონალური გამოყენებისათვის ან მათი გადანაწილებისათვის;

— საწარმოთა შესაბამის სამსახურებთან ერთად ხელს უწყობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების რიტმულ მომარაგებას მატერიალური რესურსებით;

— იღებს ოპერატიულ ზომებს მომარაგებასა და გასაღებაში არსებულ შეფერხებათა აღმოსაფხვრელად, ამ მიზნით აწესებს კონტროლს რკინიგზის ვაგონების, კონტეინერებისა და ავტოტრანსპორტის რაციონალური გამოყენებისადმი;

— ახორციელებს კონტროლს პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისადმი;

ბ) უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების მიხედვით:

— გადაანაწილებს მატერიალური რესურსების გამოყოფილ ფონდებს;

— ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს კონტროლს ამ საწარმოების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა და პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესაბამისად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისადმი, იღებს ზომებს მოწყობილობის დროულად დადგმისა და ამოქმედებისათვის, მატერია-

ლურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნის დაუშვებლობისათვის;

— ხელს უწყობს წარმოებული პროდუქციის გასაღებას, იღებს ზომებს ყველაზე რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის დამყარებისათვის, დებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებთან გრძელვადიან ხელშეკრულებებს გაერთიანების მომარაგების ორგანიზაციის შესახებ.

35. გაერთიანებას უფლება აქვს აფხაზმომარაგებასთან, ხოლო საჭიროების კვალობაზე აგრეთვე საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან და შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოებთან შეთანხმებით;

— ნება დართოს ქალაქ სოხუმის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გასაცვლელად;

— გადაანაწილოს ქალაქ სოხუმის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ნომენკლატურულ ცვლილებებთან დაკავშირებით დარჩენილი ნედლეული და მასალები, აგრეთვე ექვსი თვის განმავლობაში მათ მიერ გამოუყენებელი ზენორმატიული ნაშთები გაერთიანების შიგნით; ამ დროს წარმოქმნილი ნედლეულისა და მასალების დაზოგილი ფონდები, რომლებიც ეკუთვნის შესაბამის საწარმოებს ფონდმფლობელის უფლებებით, გადადის გაერთიანების განკარგულებაში. შემდგომში დაზოგილ ნედლეულსა და მასალებს აფხაზმომარაგების ორგანიზაციები გასცემენ გაერთიანების განაწილებით (განრიგით);

— გაასაღოს საწარმოების მიერ გეგმის გადამეტებით გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის 50 პროცენტი შესაბამისი ზემდგომი სამეურნეო ორგანოების, აფხაზმომარაგებისა და საქართველოს სსრ სახმომარაგების თანხმობით;

— ნედლეულის, მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის დავალების გადაჭარბებით შესრულებისას გადაანაწილოს გეგმის გადამეტებით დაზოგილი რესურსების 50 პროცენტი გაერთიანების შიგნით, ღირებულების ანაზღაურებით;

— ნება დართოს ქალაქ სოხუმის საწარმოებსა და ორგანიზაციებს წლიური ფონდების ფარგლებში დროებით გადასცენ არსებული ნედლეული და მასალები (ნავთობპროდუქტები).

36. გაერთიანებას უფლება აქვს ორგანიზაცია გაუწიოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ურთიერთგაცემას დადგენილი წესით ანაზღაურებით, რაც საჭიროა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად, საკუთარი ფონდების ფარგლებში.

შრომისა და ხელფასის დარგში

37. გაერთიანება:

— ქალაქ სოხუმის მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროსთან ერთად ორგანიზაციას უწევს საწარმოებსა და გაერთიანებებში სამუშაო ადგილების ატესტაციასა დ რაციონალიზაციას;

— ხელს უწყობს ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა დაკომპლექტებას მუშახელით;

— ახორციელებს კადრების შერჩევისა და განაწილების გაუმჯობესების, ადგილებზე მუშა-მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს;

წარადგენს წინადადებებს ან მისცემს თანხმობას შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოებს ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა საგეგმო-ეკონომიკური და ტექნიკური სამსახურების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნის ან თანამდებობიდან განთავისუფლების, აგრეთვე ამ მუშაკთა მიმართ წახალისების ან დასჯის ზომების გამოყენების შესახებ;

— საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად სწავლობს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, ხელს უწყობს შრომის ნორმირების დონის ამაღლებას, სწავლობს შრომის მოქმედ ნორმებსა და ნორმატივებს და შეაქვს წინადადებანი მათი გაუმჯობესებისათვის;

— აღწევს შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას;

— საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით ახორციელებს ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებებს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქალაქო დაწესებულებასთან ერთად აწესებს კონტროლს ხელფასის დროულად გაცემისადმი;

— შეიმუშავებს და ახორციელებს წინადადებებს საწარმო-ორგანიზაციების იმ მუშაკთა წახალისების შესახებ, რომლებიც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ, უზრუნველყოფს ამ მიზნით მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ეფექტიან გამოყენებას. თანხმობას აძლევს ზემდგომი დარგობრივი ორგანოების წინადადებებს ქალაქ სოხუმის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირებისა და მათთვის შვებულების მიცემის შესახებ, ან უარყოფს აღნიშნულ წინადადებას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში

38. გაერთიანება:

— ბუნების დაცვის ზონალურ ინსპექციასთან, ქალაქ სოხუმის საწარმოთა, გაერთიანებათა და საბეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად რეგულარულად შეიმუშავებს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ითვალისწინებს გარემოსთან წარმოების ოპტიმალური ურთიერთდამოკიდებულების დამყარებას, აანალიზებს მასზე წარმოების ზემოქმედების დამახასიათებელ მაჩვენებლებს და სწავლობს საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობას ბუნების დაცვის დარგში;

— თვალყურს ადევნებს საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისათვის, საკონტროლო-საზომი აპარატურის დადგმისათვის, სხვადასხვაგვარი ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციისათვის გამოყოფილი რესურსების მიზანდასახულად და რაციონალურად გამოყენებას;

— ხელმძღვანელობს საწარმოთა და გაერთიანებათა მუშაობას ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის დაგეგმვისათვის;

— ამტკიცებს გაერთიანების ს ბჭოს სხდომებზე წარმოების კულტურისა და ესთეტიკის გაუმჯობესებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის კომპლექსურ გეგმებს და აწესებს მკაცრ კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაციისა და ბუნების დაცვის საკითხებისადმი ცალკეული ორგანიზაციების ვიწროუწყებრივი მიდგომის გამოვლინებათა აღმოფხვრა, და, როგორც სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორგანო, იყენებს სამართლებრივ სანქციებს იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ ბუნების დაცვის საკანონმდებლო ნორმებს.

ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

39. გაერთიანება:

— ხელს უწყობს საფინანსო მუშაობის სწორ ორგანიზაციას საწარმოებში, ახორციელებს სამეურნეო ანგარიშისა და საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას და ბრუნვადობის დაჩქარებას;

— სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად სწავლობს და აანალიზებს რენტაბელობის ამაღლების, მოგების გადიდების, ზენორმატიული ნაშთებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს, ავლენს საწარმოთა და ორგანიზაციათა არარენტაბელურობის მიზეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და კონტროლს უწევს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას;

— უზრუნველყოფს უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების დროულად ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან და მყიდველებთან, მოიჯარეებთან, ზემდგომ ორგანიზაციებთან, არეგულირებს მათს საკრედიტო ურთიერთობას, აგრეთვე ახორციელებს ბანკთან ერთად კონტროლს ამ საწარმოების მიერ ხელფასის ფონდის ხარჯვისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი;

— ახდენს ამ დებულების შესაბამისად საწარმო-ორგანიზაციების მიერ გაერთიანებისათვის გადასცემი სახსრების აკუმულაციას და უზრუნველყოფს კონტროლს მათი მიზნობრივი გამოყენებისადმი.

40. გაერთიანება დადგენილი წესით ხსნის ბანკების დაწესებულებებში ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს და ასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს.

41. გაერთიანება დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს განაცხადებს მისთვის საჭირო კრედიტებზე და იტოვებს თავის განკარგულებაში კრედიტების თანხის რეზერვს, პასუხს აგებს კრედიტის მიზნობრივად გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის.

42. გაერთიანება ამტკიცებს დადგენილი წესით მუდმივი ფასების დამტკიცებამდე სახალხო მოხმარების ახალი საქონლის დროებითს საბითუმო ფასებს, აგრეთვე ზოგიერთი სახეობის გამოსაშვები პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების, წარმოების ნარჩენების) დროებითს საბითუმო ფასებს, ხელს უწყობს ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან გამომუშავებული სახალხო მოხმარების საქონლის ფასების ეკონომიკურად დასაბუთებული პროექტების შემუშავებას, აგრეთვე სამუშაოთა და მომსახურების ტარიფების ეკონომიკურად დასაბუთებული პროექტების შემუშავებას, მათს ოპერატიულად წარდგენას რესპუბლიკის ფასწარმოქმნის ორგანოებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

43. გაერთიანება ახორციელებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ აფხაზეთის ასსრ ანალოგიურ ორგანოებთან ერთად განსაზღვრული წესით და ვადებში საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ადგენს ბალანსსა და ანგარიშგებას, წარუდგენს შესაბამის ორგანოებს ანგარიშებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ და პასუხს აგებს მათი უტყუარობისათვის.

ქალაქის სოციალურ-კულტურული განვითარების დარგში

44. გაერთიანება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილებებთან და სხვა ქვედანაყოფებთან ერთად, რომლებიც განაგებენ ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხებს, უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრების მიზანდასახულ გამოყენებას, რაც ამ დებულების შესაბამისად იქმნება.

ამასთან ერთად გაერთიანება კოორდინაციას უწევს:

ა) ყველა, მათ შორის სოციალურ-კულტურული, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობას, მიუხედავად მათი უწყებრივი და დარგობრივი დაქვემდებარებისა, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და იმ ფინანსური სახსრების რაც შეიძლება რაციონალური გამოყენების მიზნით, რომელთაც ისინი ახმარენ მასობრივ-პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ორგანიზაციას;

ბ) მუშაობას წილობრივ საწყისებზე სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული ბაზების, დარბაზების, სტადიონების, მოედნების რეკონსტრუქციისა და რემონტისათვის, და ამით ხელს უწყობს ქალაქ სოხუმის დაინტერესებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებისა და სახსრების კონცენტრაციას.

IV. გაერთიანების ქონება

45. გაერთიანების ქონება შედგება გაერთიანებისათვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი სახსრების, ცენტრალიზებული ფონდებისა და სხვა ქონებისაგან.

46. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება მათს საკუთრებას წარმოადგენს და აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე, ხოლო გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება — გაერთიანების დამოუკიდებელ ბალანსზე.

47. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფინანსური და მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით გაერთიანებას უფლება ეძლევა ცენტრალიზებული გახადოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ნაწილი შესაბამის საწარმოთა და გაერთიანებათა შრომითი კოლექტივების თანხმობით.

შენიშვნა: 47-ე პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საწარმოებზე, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებზე, რომლებსაც წლის განმავლობაში არ შეუსრულებიათ მოგების დამტკიცებული გეგმა, აგრეთვე საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და საქართველოს ყრუთა საზოგადოების საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომელთა მოგება და ეკონომიკური სტიმულირების ფონდები ნაწილდება და გამოიყენება მათთვის დაწესებული სპეციალური სისტემების მიხედვით.

48. გაერთიანება ქმნის ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს შემდეგი ოდენობით:

ა) წარმოების განვითარების ფონდი, რომელშიც ცენტრალიზებულია:

— გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების სახსრების ნაწილი (10 პროცენტი) შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით და ამავე დროს მატერიალური რესურსების ლიმიტების გადაცემით (მათი არსებობისას);

— გაერთიანების ხელშეწყობითა და დახმარებით ქალაქის საწარმოებსა და გაერთიანებებში შექმნილი და საწარმოს საჭიროებისათვის დატოვებული ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ნაწილი (15-20 პროცენტი) სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების გამოკლებით;

— მოხმარებიდან გასული ან ზედმეტი ქონების რეალიზაციის იმ ამონაგების 20 პროცენტამდე, რომელიც საწარმოებმა და გაერთიანებებმა მიიღეს გაერთიანების ხელშეწყობისა და დახმარების შედეგად;

ბ) მატერიალური წახალისების ფონდი, რომელშიც ცენტრალიზებულია

— საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების სახსრების ნაწილი (5 პროცენტი) შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

— საწარმოებისა და ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა პრემირებისათვის გათვალისწინებული ფართო მოხმარების ფონდების სახსრების ნაწილის ანარიცხები (15 პროცენტი), რომლებიც მიიღეს მათ გაერთიანების ხელშეწყობისა და დახმარების შედეგად;

გ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ფონდი, რომელშიც ცენტრალიზებულია:

— საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების ფაქტიურად დარიცხული ნაშთების 7 პროცენტი და თავისუფალი (წლის დამლევისათვის დაუხარჯავი) ნაშთების 10 პროცენტი ზემდგომ სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით და ამავე დროს მატერიალური რესურსების ლიმიტების გადაცემით (მათი არსებობისას);

— გაერთიანების ხელშეწყობითა და დახმარებით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მეორეული ნედლეულის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულების შედეგად მიღებული თანხის 15 პროცენტი.

49. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრებს გაერთიანება იყენებს დადგენილი წესით:

— წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, წარმოების განვითარებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ღონისძიებათა განხორციელებაში საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოების მიზნით უბნების, საამქროებისა და წარმოებების მშენებლობისათვის;

— მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

— სატრანსპორტო საშუალებების, სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების მანქანებისა და მოწყობილობის შესაძენად.

50. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრებს გაერთიანება იყენებს დადგენილი წესით:

— საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების შესავსებად იმ შემთხვევაში, თუ მათ უმცირდებათ მატერიალური წახალისების ფონდები მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვიეს გაერთიანების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა (ახალ სახეობათა ნაწარმის ათვისება და სხვ.);

— საერთო-საქალაქო მნიშვნელობის განსაკუთრებული დავალებების შესრულებისათვის ქალაქ სოხუმის საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებისათვის;

—კვარტალისა და წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გაერთიანების აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის, აგრეთვე მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

დებულებას გაერთიანების აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ შეიმუშავებს და დაამტკიცებს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად.

51. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრებს გაერთიანება იყენებს დადგენილი წესით:

— ქალაქის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სპორტული ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის;

— ზემოაღნიშნული ობიექტებისათვის ინვენტარის, მოწყობილობის, აპარატურისა და ამ ობიექტების მომსახურე სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად;

— ამ დებულების 44-ე პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

52. ქალაქის საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ცენტრალიზებული წესით ურიცხავენ გაერთიანებას:

— ახალი, მაღალეფექტიანი პროდუქციისა და სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მათ მიერ მიღებული დამატებითი მოგების 50 პროცენტს;

— ზეგეგმითი მოგების თავისუფალი ნაშთის 50 პროცენტს;

— წარმოების ნარჩენებისაგან დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად მათ მიერ მიღებული მოგების 10 პროცენტს.

ეს ანარიცხები მოხმარდება ახალი საწარმოო ობიექტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების გაუმჯობესების საერთო-საქალაქო ღონისძიებათა დაფინანსებას.

53. ამ დებულების 47-52-ე პუნქტებში ჩამოთვლილი ცენტრალიზებული ფონდების სახსრებს ხარჯავს გაერთიანების საბჭო სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

გამოუყენებელი თანხები არ ჩამოერთმევა და გადადის მომდევნო წელს.

V. ორგანიზაციული საკითხები

54. გაერთიანების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება მისი შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ზემდგომი ორგანოს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში მისთვის მიჩენილი ქონება გადაეცემათ მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესით.

55. გაერთიანებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 20 ნოემბრის № 789 დადგენილებით

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის „სერვისის“ შესახებ

1. კომპლექსური საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი „სერვისი“ (შემდგომში ეწოდება კომბინატი „სერვისი“) იქმნება სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამეურნეოანგარიშიანი საბინაო-საშუამავლო ბიუროს ბაზაზე იმ მიზნით, რომ განახორციელოს ქალაქის მოსახლეობის და ქალაქ სოხუმში საგზურებისა და საკურსე ბარათების გარეშე ჩამოსულ დამსვენებელთა კომპლექსური მომსახურება, უკეთ და უფრო რაციონალურად გამოიყენოს საკურორტო მეურნეობა, აამაღლოს მომსახურების კულტურა და გააფართოოს მისი კომპლექსურობა.

2. კომბინატი „სერვისი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბრძანებებით, აგრეთვე ამ დროებითი დებულებით.

3. კომბინატი „სერვისი“ იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, თავისი შემოსავლით ანაზღაურებს მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯებს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშგება და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საფუძველზე.

4. კომბინატ „სერვისს“ უფლება აქვს დაუდოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, საწარმოებსა და მოქალაქეებს ხელშეკრულებანი ქალაქის მოსახლეობის, ქალაქ სოხუმში საგზურებისა და საკურსე ბარათების გარეშე ჩამოსულ დამსვენებელთა, მივლინებულთა და სხვა პირთა კომპლექსურ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. კომბინატ „სერვისს“ დადგენილი წესით აქვს ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის განყოფილებებში.

6. კომბინატ „სერვისის“ ძირითადი ამოცანებია:

ა) ქალაქ სოხუმის მოსახლეობის მომსახურებისა და მისთვის საშუამავლო მომსახურების გაწევის დარგში:

— ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა ობიექტის მიერ ყოველგვარი მომსახურების კომპლექსური გაწევა;

— ბინების, სანტექნიკის, ელექტროგაყვანილობისა და საყენებელი არმატურის სასწრაფო წვრილმანი რემონტი, კარ-ფანჯრების შემინვა, ბინების დაგვა-დალაგება, მოწყობა და გაფორმება, იატაკის გაპრიალება და მოხვეწა, სამღებრო და სხვა სამუშაოები;

— საოჯახო საგნებისა და ინსტრუმენტების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნების, სპორტული ინვენტარის, საქორწილო და საღამოს ტუალეტის გაქირავება;

— ბავშვების მიხედვა-მეთვალყურეობა;

— საცნობარო-საინფორმაციო მომსახურება;

— ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სატელევიზიო, რადიო და ელექტროხელსაწყოებისა და ფოტოაპარატურის რემონტი, ტანსაცმლის ქიმიური წმენდა, თეთრეულის რეცხვა;

— საექსკურსიო სატრანსპორტო და თეატრალურ-სანახაობითი მომსახურება;

— საავიაციო და სარკინიგზო ბილეთების შეძენა ბინაზე მიტანით;

— მოსახლეობისათვის ტანსაცმლის გამოჭრისა და კერვის, ტრიკოტაჟის ნაწარმის ქსოვის, ფოტოგრაფირების სწავლება;

— მანქანაზე ბეჭდვის სამუშაოები;

—რეპეტიტორობა და სხვ;

ბ) დამსვენებელთა მომსახურებისა და მათთვის საშუამავლო მომსახურების გაწევის დარგში;

— ბინის დაქირავება;

— კვების ორგანიზაცია;

— სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა (მათ შორის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სატელევიზიო და რადიო და ელექტროხელსაწყოებისა და ფოტოაპარატურის სასწრაფო რემონტი, ტანსაცმლის ქიმიური წმენდა, თეთრეულის რეცხვა და სხვ.);

— კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების, რადიოაპარატურის, ფოტო და კინოაპარატურის, სპორტის, ტურიზმის საგნების, სათამაშოების გაქირავება და სხვ.;

— საექსკურსიო, სატრანსპორტო და თეატრალურ-სანახაობითი მომსახურება;

— ადგილების გამოყოფა ავტოსადგომებზე;

— საავიაციო და სარკინიგზო ბილეთების შეძენა უკან გასამგზავრებლად სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისათვის მოქმედი პირობების მიხედვით, დროებით საცხოვრებელ ადგილზე მიტანით;

— საცნობარო-საინფორმაციო მომსახურება.

7. კომბინატი „სერვისი“:

— განუწყვეტლივ სწავლობს მოსახლეობისა და დამსვენებელთა მოთხოვნილებას სხვადასხვაგვარ მომსახურებაზე და იღებს ზომებს მომსახურების

კულტურის დონისა და ხარისხის ასამაღლებლად, მისი ასორტიმენტის გასაფართოებლად;

— აფართოებს კოოპერირებულ კავშირურთიერთობას როგორც საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ისევე მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან;

— აღრიცხავს ყველა ბინის გამქირავებელს, კონტროლს უწევს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული ბინის გაქირავების, სხვა სახის მომსახურების გაწევის ფასებისა და ტარიფების დაცვას, კავშირი აქვს ადმინისტრაციულ, საფინანსო და სხვა ორგანოებთან ქალაქ სოხუმში დროებით ჩამოსულთა რეგისტრაციის წესების დაცვის საქმეში.

8. კომბინატი „სერვისი“ ახდევინებს საკომისიო და სარეგისტრაციო გამოსაღებს, აგრეთვე საკურორტო გამოსაღებს, რომლის გარკვეული ნაწილი სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ხმარდება კომბინატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მომსახურების ახალი ფორმებისა და სახეობების დანერგვას, აგრეთვე ქალაქ სოხუმის საკურორტო ზონის კეთილმოწყობას.

ამ ღონისძიებათა განხორციელებისას კომბინატი „სერვისი“ აკოორდინირებს თავის მუშაობას სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებასთან.

9. კომბინატი „სერვისი“ დებს ხელშეკრულებებს:

— ქალაქ სოხუმის საზოგადოებრივი კვების ტრესტთან — დამსვენებელთა კვების ორგანიზაციისათვის ტალონებითა და აბონემენტებით საზოგადოებრივი კვების გარკვეული ობიექტებისათვის მათი მიმაგრებით და მომსახურების დროის აღნიშვნით;

— საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საწარმოსთან და ქალაქის სხვა საწარმოებთან — მოსახლეობისა და დამსვენებელთათვის მომსახურების გაწევის სამუშაოთა განსახორციელებლად.

10. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ჩაბმის მიზნით კომბინატი „სერვისი“ დებს ხელშეკრულებებს:

— ბინის გამქირავებლებთან და იზიდავს მათ შინმუშაობის პირობებით დამსვენებელთათვის თეთრეულის რეცხვის, ტანსაცმლის წვრილმანი რემონტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ სხვა სახეობათა მისაღებად საშუამავლო მომსახურების გასაწევად, რომელთაც ასრულებენ ქალაქ სოხუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები;

— პენსიონერებთან და დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეებთან, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებთან, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს განახორციელონ ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს საათების, ტელევიზორების, მიმღებებისა და სხვა რადიოაპარატურის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი, ბინების წვრილმანი რემონტი, სანტექნიკური სამუშაოები და მო-

სახლეობის მომსახურების სფეროში გათვალისწინებული საქმიანობის სხვა სახეობანი, გარდა კანონით აკრძალული საქმიანობის სახეობებისა.

11. კომბინატ „სერვისის“ სისტემაში მოსახლეობისათვის უშუალო მომსახურების გასაწევად შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება მიიზიდონ მოქალაქენი, რომელთაც აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ოფიციალური ნებართვა, ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებული, და რომლებიც დადგენილი წესით დაადასტურებენ (აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საკვალიფიკაციო კომისიის მიერ ატესტაციის გზით) თავიანთ კვალიფიკაციას და შეთავსებით მუშაობისათვის პროფესიულ ვარგისიანობას.

12. მოსახლეობისა და დამსვენებელთა მომსახურება ხორციელდება პრეისკურანტების თანახმად გათვალისწინებული ფასებისა და ტარიფების მიხედვით. დაუშვებელია გადამეტება ფასებისა და ტარიფების პრეისკურანტებთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურებას უწევენ შემკვეთის მოთხოვნით უფრო მჭიდრო ვადებში ან დაწესებულ ნორმებთან და ვადებთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხით, აგრეთვე პრეისკურანტებით გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და მომსახურების შესრულება, ან მოცემული ადგილისათვის ახალი სახეობისა, რაც სრულდება სახელშეკრულებო ფასებისა და ტარიფების მიხედვით.

13. კომბინატ „სერვისთან“ დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მომუშავე მოქალაქეებს უფლება ეძლევათ უპირატესად (ულიმიტოდ) შეიძინონ საცალო ვაჭრობაში მომსახურებისათვის საჭირო მასალები და საქონელი.

ხელშეკრულებების მიხედვით მომუშავე მოქალაქეებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმო-ორგანიზაციათა საწყობებიდან მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მიეცემათ პრეისკურანტების თანახმად დაწესებულ საცალო ფასებში და ნაღდ ანგარიშზე.

14. საქმიანობის ნებადართულ სახეობათა განსახორციელებლად მოქალაქეებთან ხელშეკრულებანი დაიდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმის, წესისა და პირობების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ისინი იყენებენ საწარმო-ორგანიზაციათა კუთვნილ მოწყობილობას, ინსტრუმენტებს, ინვენტარსა და სადგომებს დაქირავების პირობებით, ხელშეკრულებაში აღინიშნება მოწყობილობის, ინსტრუმენტების, ინვენტარის ნუსხა, სადგომის დახასიათება, ქირით აღებული ქონების ღირებულება, ქირის ოდენობა და ვადები, აგრეთვე ქონების ღირებულების ანაზღაურების პირობები მისი გაფუჭების ან დაკარგვის შემთხვევაში.

ამ სამუშაოს განხორციელებისას კომბინატი „სერვისი“ იყენებს ფასებისა და ტარიფების ნორმატივებს, აგრეთვე შესაბამისი ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილ წესს, იღებს ამავე ორგანოების მიერ დაწესებულ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებს ხელშეკრულების მიხედვით მომუშავე მოქალაქეთა მიმართ, თუ ისინი დაარღვევენ აღნიშნულ წესს.

15. საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის მსურველ მოქალაქეთათვის კომბინატი „სერვისი“ აწყობს ფასიან სწავლებას მოკლევადიან კურსებზე შესაბამისი სპეციალობისა და ჩვევების შესაძენად.

16. ცალკეულ შემთხვევებში დამსვენებელთა სურვილისამებრ კომბინატი „სერვისი“ ხელს უწყობს მათი კვების ორგანიზაციას ბინის გამქირავებლებთან იმ გზით, რომ ჩააბამს ამ უკანასკნელთ აღნიშნულ სამუშაოში ქალაქ სოხუმის სასადილოებისა და რესტორანების ტრესტთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული წესისა და პირობების თანახმად.

17. კომბინატი „სერვისი“ ყოველგვარ მომსახურებას უწევს ნაღდ ანგარიშზე, ამავე დროს ანგარიშს უსწორებს საექსკურსიო ბიუროს და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად.

18. ორგანიზებულად ჩამოსულ პირთათვის (ტურისტები, სპორტსმენები, მსახიობები და სხვ.) განკუთვნილი სადგომისათვის ბინის გამქირავებლებს ანგარიში უსწორდებათ შემნახველი სალაროების მეშვეობით უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

19. კომბინატ „სერვისის“ საგეგმო დაგროვება (მოგება) ნაწილდება დადგენილი წესით. ზეგეგმითი დაგროვება (ზეგეგმითი მოგება) რჩება კომბინატის განკარგულებაში და გამოიყენება მისი საქმიანობის სფეროს განვითარებისა და გაფართოებისათვის.

20. კომბინატ „სერვისის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს ახორციელებს აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საჭიროების კვალობაზე აფხაზეთის ასსრ შესაბამისი ორგანოების მიზიდვით.

21. კომბინატ „სერვისისათვის“ მიჩენილი ძირითადი საშუალებანი და საბრუნავი სახსრები ქმნიან მის საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე.

22. კომბინატ „სერვისს“ სათავეში უდგას დირექტორი, რომლის თანამდებობა სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ნომენკლატურაა.

23. კომბინატ „სერვისის“ დირექტორი:

— მოქმედებს მინდობილობის გარეშე კომბინატის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს ყველა საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს კომბინატის ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, იძლევა მინდობილობებს, მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით, ხსნის ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის განყოფილებებში;

— წარადგენს სარჩელებს და პასუხს აგებს მათ გამო სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში;

— ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას კომბინატის საქმიანობისადმი და კისრულობს პასუხისმგებლობას სახელმწიფო გეგმების შესრულებისა-

თვის, კოლექტივში საგეგმო, შრომითი, სახელშეკრულებო, საფინანსო, საწარმოო დისციპლინის მდგომარეობისათვის;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოდ იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს მუშაკებს;

— განსაზღვრავს დირექტორის მოადგილეთა და სამსახურების უფროსთა ფუნქციებს, ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს კომბინატის მმართველობის აპარატის მუშაკთა საქმიანობის შესახებ;

— იყენებს კომბინატის მუშაკთა მიმართ წახალისების ან დისციპლინური ზემოქმედების ზომებს.

24. კომბინატი „სერვისი“ მთლიანად აგებს პასუხს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის, მომსახურების კულტურისა და ხარისხის დაბალი დონის, შემკვეთისათვის მატერიალური ზარალის მიყენების გამო და სრულად ანაზღაურებს მას, ხოლო ფულადი სახსრები მიყენებული ზარალის ოდენობით გადახდებათ დამნაშავე პირებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

შემკვეთთა საჩივრებსა და პრეტენზიებს ხელშეკრულებებით მომუშავე მოქალაქეთა მიმართ განიხილავს კომბინატ „სერვისის“ ხელმძღვანელობა.

მოქალაქეთა მიერ სახელშეკრულებო პირობების, მომსახურების დადგენილი წესებისა და შრომის შინაგანაწესის დარღვევის თითოეულ ფაქტზე კომბინატი „სერვისი“ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით იყენებს დამრღვევთა მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომებს, მათ შორის ვადამდე წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას.

ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ კომბინატ „სერვისის“ ხელმძღვანელობა მოვალეა წარუდგინოს ინფორმაცია სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსა და აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

25. კომბინატ „სერვისის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დადგენილი წესით.

კომბინატ „სერვისს“ აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

87 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 738 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 738 დადგენილების შესაბამისად, რომლითაც მიზანშეწონილად ჩაითვალა გადიდდეს მშენებლობათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ლიმიტურობა 3 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე, რის საფუძველზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით განისაზღვრა შენობა-ნაგებობათა მშენებლობის პროექტების, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და ახლად დასაწყებ მშენებლობათა ნუსხებისა და სატიტულო სიების დამტკიცების, აგრეთვე პროექტების ექსპერტიზის ჩატარების წესი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შეტანილ იქნეს აღნიშნულ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შემდეგი ცვლილებანი:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 310 დადგენილების მე-7 პუნქტში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი“ და „3 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს — შესაბამისად — სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი“ და „4 მილიონ მანეთამდე“.

2. „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 ნოემბრის № 789 დადგენილების მე-4 პუნქტში:

ა) მეორე აბზაცში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი და მეტი“ შეიცვალოს სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი და მეტი“;

ბ) მესამე აბზაცში სიტყვები: „1 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „1,5 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მეოთხე აბზაცში სიტყვები: „1 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „1,5 მილიონ მანეთამდე“, ამასთან დაემატოს ქალაქების ნუსხას ქ. ფოთი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 4 დეკემბერი, № 815.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

88 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მეგალეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მეგალეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულების მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ძირითადი ამოცანაა იზრუნოს მეგალეობის ამხანაგობათა შექმნის, ორგანიზაციისა და ამხანაგობებისათვის გამოყოფილი კოლექტიური ბაღების დაპროექტებისა და გაშენებისათვის, უხელმძღვანელოს მათს საექსპლუატაციო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, უზრუნველყოს, რომ მეგალეობის ამხანაგობები ზუსტად იცავდნენ მოქმედ კანონმდებლობას. აგროკოოპს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაციებთან და პროფკავშირის კომიტეტებთან, აგრეთვე შესაბამისი რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად ეკისრებათ პასუხისმგებლობა საბაღე სახლების მშენებლობის ნორმებისა და წესების დაცვისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 21 დეკემბერი, № 850.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89 მწერალ ნოდარ დუმბაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს ნ. დუმბაძის სახელი პიონერულ ქალაქს „მზიურს" ქალაქ თბილისში.

2. მიეკუთვნოს ნ. დუმბაძის სახელი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლას.

3. საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადონ გამოსაცემად ნ. დუმბაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

4. დაწესდეს ნ. დუმბაძის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საერთო სასტიპენდიო ფონდის ანგარიშში.

5. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა შექმნას დოკუმენტური ფილმი ნ. დუმბაძის შესახებ და მხატვრული ფილმი ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით.

6. ეთხოვოს საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიაკუთვნოს ნ. დუმბაძის სახელი საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის გათვალისწინებულ ერთ-ერთ ვემს.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— კეთილმოაწყოს მწერლის საფლავი პიონერულ ქალაქ „მზიურში", რისთვისაც დახარჯოს 3 ათასი მანეთი;

— მიაკუთვნოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ნ. დუმბაძის სახელი;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ნ. დუმბაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 2 ნოემბერი, № 751.

90 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 739 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ

„მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 739 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შემდეგი ცვლილებანი:

1. „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„2. დაწესდეს, რომ არასაწარმოო დანიშნულების მშენებლობების საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს დაამტკიცებენ:

ა) თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 4 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

ბ) თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1,5 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

გ) თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1,5 მილიონ მანეთამდე — რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები“.

2. „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „2,5 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „4 მილიონ მანეთამდე“.

3. „საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 ნოემბრის № 651 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი“ შეიცვალოს სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 მარტის № 188 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დებულების მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „1 მილიონი მანეთი“ შეიცვალოს სიტყვებით: „1,5 მილიონი მანეთი: და სიტყვები: „0,5 მილიონ მანეთზე მეტი“ შეიცვალოს სიტყვებით: „0,7 მილიონ მანეთზე მეტი“.

11. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 739 დადგენილებით შეტანილია ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ივნისსი № 403 დადგენილებით დაგზავნილ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 105 დადგენილებაში: მე-2 და მე-4 პუნქტებში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი“ და „3 მილიონ მანეთამდე“ შესაბამისად შეიცვალა სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი“ და „4 მილიონ მანეთამდე“.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილებაში:

ა) 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცსა და „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი“ შეიცვალოს სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი“;

ბ) მე-2 პუნქტში სიტყვები: „3 მილიონ მანეთზე ნაკლები“ და „3 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი და „4 მილიონ მანეთამდე“;

გ) მე-3 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „1-დან 3 მილიონამდე მანეთს“ შეიცვალოს სიტყვებით: „1-დან 4 მილიონამდე მანეთს“;

დ) მე-4 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „3 მილიონ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „4 მილიონ მანეთამდე?;

ე) მე-5 პუნქტის მეორე, აბზაცში სიტყვები: „3 მილიონი მანეთი“ და „3 მილიონ მანეთზე ნაკლები“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „4 მილიონი მანეთი“ და „4 მილიონ მანეთზე ნაკლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 2 ნოემბერი, № 758.

61 სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის დებულების დამტკიცების შესახებ

„სამეურნეო ორგანიზაციებთან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფისა და შემოსავალ-გასავალს შორის შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდის სახით შრომის ანაზღაურების ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 26 აპრილის № 303 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი უნდა მოხმარდეს მშენებლობის იმ ობიექტების დაფინანსებას, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ეფექტიანობით თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, ნორმატიულ ვადებში მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო პირობებისა და სრული საწარმოო სიმძლავრის დროულად ათვისების გარანტირებული პერსპექტივის არსებობისას.

3. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც იყენებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიან კრედიტს, უზრუნველყონ, რომ დროულად შეიმუშაონ და წარუდგინონ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს მაღალეფექტიან ღონისძიებათა პროექტები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საწარმოო ძალთა განლაგების სტრუქტურასა და წარმოების ორგანიზაციას, ხელს შეუწყობს პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტის როლის ამაღლებას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის განხორციელების გზით წარმოების ეფექტიანობის ზრდის საქმეში.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ მიიღოს ყოველგვარი საჭირო ორგანიზაციული ზომები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების დაფინანსებისას 1985 წლიდან ეკონომიკური შერჩევის მეთოდის დასანერგად, რისთვისაც ჩაატაროს მიმდინარე წლის დეკემბერში ზონალური თათბირები დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 4 დეკემბერი, № 804.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 4 დეკემბრის № 804 დადგენილებით

დებულება

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების შერჩევის შესახებ

1. ექსპერიმენტის მიზანია კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლება მშენებლობის იმ ობიექტების ეკონომიკური შერჩევის გზით, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური, ტექნიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლებით შეესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებს, უკვე არსებული სიმძლავრეების ათვისებისა და რეგიონების მიხედვით დარგის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

2. ექსპერიმენტი მოიცავს საწარმოო დანიშნულების მშენებარე ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებითი პროდუქციის გამოშვებას და მისი თვითღირებულების შემცირებას, და რომელთა დაფინანსება ხორციელდება კრედიტის ხარჯზე ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით (ფერმების, საძროხეების, საღორეების, საფრინველეების, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საამქროებისა და სხვა საწარმოო ობიექტების მშენებლობა, გაფართოება, რეკონსტრუქცია).

მშენებლობის ყველაზე რაციონალური ობიექტების ეკონომიკური შერჩევა ხორციელდება:

— სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში — 200 ათასი მანეთიდან 1 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისა;

— კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში — 200 ათასი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისა;

— მეურნეობის სხვა დარგების საბრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში — 200 ათასი მანეთიდან და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისა, თუ ისინი ხარჯებს სწევენ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით.

3. მშენებლობის ობიექტების ეკონომიკური შერჩევისათვის იქმნება ორი კომისია (აგროსამრეწველო კომპლექსისა და მრეწველობის ხაზით) შემდეგი შემადგენლობით:

— სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სასოფლო და წყალსამეურნეო მშენებლობის ქვეგანყოფილების უფროსი;

— იმ სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელის მოადგილე, რომელთა ობიექტების მშენებლობა ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით.

4. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის ხარჯზე ან კრედიტის გამოყენებით ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად მეურნეობები ან ერთიანი შემკვეთის დირექციები წარუდგენენ კომისიას მეურნეობის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ, რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობასთან აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტების მიხედვით, ზემდგომ ორგანიზაციასთან — მრეწველობის ობიექტების მიხედვით და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებასთან შეთანხმებულ განაცხადს თანდართული ფორმის თანახმად.

განაცხადი წარედგინება დასაგეგმი წლის წინა წლის 1 ოქტომბრამდე.

5. განაცხადების შედგენისას მეურნეობებმა, დირექციებმა, მათმა ზემდგომმა ორგანოებმა, აგროსამრეწველო კომპლექსებმა, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ძირითადი პირობებით:

— ასაშენებლად დასახული ობიექტის საწარმოო აუცილებლობა რეგიონში არსებულ სიმძლავრეთა სრული გამოყენების გათვალისწინებით;

— მაღალი რენტაბელობა და ფონდუკუგება;

— დანახარჯების ანაზღაურება რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში;

— იმ შემთხვევაში, თუ მაღალმთიან რაიონებში მშენებარე ობიექტების ანაზღაურების ვადები ზღვრულს აღემატება, დაკრედიტება ნებადართულია ობიექტების ეკონომიკური შერჩევის კომისიის გადაწყვეტილებით;

— უმცირესი ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი სიმძლავრის ერთეულზე;

— ნედლეულის, საკვების რეალური წყაროების, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, დამხმარე და საკომპლექტებელი მასალებისა და დეტალების, მუშახელის არსებობა;

— სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა ან საკუთარი ძალების არსებობა მშენებლობის სამეურნეო წესით განსახორციელებლად;

— პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა.

ამასთანავე უპირატესობა ეძლევა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების ობიექტებს.

6. კომისიას უნდა ჰქონდეს საწარმოო სიმძლავრეთა ფაქტიური დისლოკაციის, დარგის განვითარების პერსპექტივის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის განვითარების თანამედროვე მიმართულების, სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა მაჩვენებლები, კაპიტალური მშენებლობის სტრუქტურისა და მომავალი წლის მოცულობის საკონტროლო ციფრები და ა. შ. კომისიისათვის ყველა ამ და სხვა საჭირო მასალებს ამზადებენ სამინისტროთა, უწყებათა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

საჭიროების კვალობაზე მოწმდება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების რეალურობა, ეკონომიკური ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების, მრეწველობის სხვა ძირითადი მაჩვენებლების, გასასუქებელი პირუტყვისა და ფრინველის წონამატების, სარძეო ჯოგის წველადობის, ქათმის კვერცხმდებლობის გაანგარიშების საფუძვლად მიღების სისწორე და ა. შ. ამასთან საჭიროა წინასწარ აუცილებლად შემოწმდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დადგენილი წესით.

7. კომისიის გადაწყვეტილება მშენებლობის ობიექტის ეკონომიკური შერჩევის შესახებ ფორმდება ოქმით, მოცემული ობიექტის მშენებლობის მიზანშეწონილობის დასაბუთებითა და დაფინანსების წყაროს განსაზღვრით. მშენებლობისათვის მიღებული ობიექტების შესახებ ეცნობებათ შემკვეთ (ერთიან შემკვეთ) მეურნეობებსა და დამფინანსებელ ბანკებს.

8. კომისია განიხილავს ობიექტების მშენებლობის მსვლელობაში შესატან ყველა ცვლილებას. იმ შემთხვევებში, როცა შესატან ცვლილებათა შედეგად უარესდება მშენებარე ობიექტის ეფექტიანობის მაჩვენებლები, ხოლო თვით ეს ცვლილებები გამოწვეულია საწარმოო აუცილებლობით, კომისია იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

9. კომისიის გადაწყვეტილებანი მშენებლობის ობიექტების ეკონომიკური შერჩევის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ყველა შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და უწყებისათვის.

კომისიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

10. მშენებლობის ობიექტების ეკონომიკური შერჩევისათვის კომისიას შეუძლია მოსთხოვოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, საპროექტო ორგანიზაციებს საჭირო ფაქტიური და საგეგმო მასალები, აგრეთვე მიიზიდოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა სპეციალისტები.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმაში კომისიის მიერ დასაკრედიტებლად მიღებული ობიექტების მშენებლობისათვის კრედიტი გამოიყოფა მიზნობრივი დანიშნულებით.

12. მასალებს მშენებლობის ობიექტების ეკონომიკური შერჩევის ყველა საკითხზე ამზადებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა.

ფორმა

განაცხადი

სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების შერჩევაში მონაწილეობის შესახებ

მშენებლობის ობიექტისა და ადგილის დასახელება	სიმძლავრე		როდის და ვის მიერ არის დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	მშენებლობის ვადები	ხელშეკრული კაპიტალური დაბანდებანი სიმძლავრის ერთეულზე	ფონდიერებები კაპიტალში 1 მანეთზე	რენტაბელობა პროცენტებით	დანახარჯების ანაზღაურება (ვადები)	შრომის დანახარჯები სიმძლავრის ერთეულზე (კაც. საათი)	სამშენებლო ორგანიზაციის დასახელება	საკვებით, ნედლეულით, პირუტყვებით და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსების წყაროები	
												საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბანკის კრედიტი
		სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (ათასი მანეთი)											

მეურნეობის ხელმძღვანელი

შეთანხმებულია:

რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელი

სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი

სახელმწიფო ბანკის
განყოფილების მმართველი

92 ორგანიზაციათა გალანსიდან შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯებისა და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯების ჩამოწერის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 633 დადგენილებით დამტკიცებული საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების (41-ე პუნქტი) შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯები და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯები თითოეულ მშენებლობაზე 100 ათას მანეთამდე ოდენობით, აგრეთვე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯები რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსიდან ჩამოიწერება სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ნებართვით.

აღნიშნული დანახარჯები და ხარჯები 100 ათას მანეთზე მეტი ოდენობით რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსიდან ჩამოიწერება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 633 დადგენილებით დამტკიცებული საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად:

— შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯები და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯები თითოეულ მშენებლობაზე 100 ათას მანეთამდე ოდენობით, აგრეთვე გეოლოგიურ-სადაზვერვო, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯები საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსიდან ჩამოიწერება სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით;

— შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯები და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დანახარჯები თითოეულ მშენებლობაზე 100 ათას მანეთზე მეტი ოდენობით ჩამოიწერება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 მაისის № 460 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 7 დეკემბერი, № 809.

93 საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის" დროებითი დებულების, აგრეთვე ამ ცენტრთან არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულებისა და მაღაზია-სალონ „სიახლის" დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დროებითი დებულება საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის" შესახებ, აგრეთვე დროებითი დებულება ამ ცენტრთან არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს შესახებ და დროებითი დებულება მაღაზია-სალონ „სიახლის" შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 14 დეკემბერი, № 836.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის
14 დეკემბრის № 836 დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის“ შესახებ

I. ზოგადი დებულებანი და ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრი — „საქცენტრმრეწვდანერგვა“ შექმნილია ახალი საქონლის წარმოებაში დანერგვის საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ საქართველოს რესპუბლიკური ფილიალისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის № 45 განყოფილების ბაზაზე „სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი არასასურსათო საქონლის წარმოების განვითარებისათვის მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 დეკემბრის № 835 დადგენილების საფუძველზე.

2. რესპუბლიკის სამეურნეო მექანიზმში „საქცენტრმრეწვდანერგვას“ განეკუთვნება დარგთაშორისი ქვედანაყოფის ფუნქცია, რომლის პრაქტიკული მუშაობა მიზნად ისახავს სახლახო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის კომპლექსური განვითარების, უკმარი საქონლის წარმოების უზრუნველყოფის, შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის უფრო ფართოდ გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების არსებითი გაუმჯობესების საკითხთა გადაწყვეტას.

3. თავის საქმიანობაში „საქცენტრმრეწვდანერგვა“ ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

4. „საქცენტმრეწვდანერგვას“ და მის საექსპერტო საბჭოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1984 წლის 19 ივნისის № 181 ბრძანებით მინიჭებული აქვთ ყველა უფლება და რწმუნება სრული მოცულობით სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ახალი საქონლის წარმოებაში დანერგვის საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ და მასთან არსებული საექსპერტო საბჭოს დებულებების თანახმად.

5. „საქცენტრმრეწვდანერგვის“ (შემდგომში ტექსტის მიხედვით „ცენტრი“) შენახვის ხარჯები გაიღება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ გამოყოფილი სახსრებიდან, შემდგომ იგი თანდათანობით გადავა ნაწილობრივ და სრულ სამეურნეო ანგარიშზე, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია შექმნას მოქმედი კანონმდებლობით ან კომპეტენტურ ორგანიზაციათა სადირექტივო დებულებებით გათვალისწინებული ფონდები, აქვს ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშები ბანკის დაწესებულებებში და სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

6. ცენტრს აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სრული დასახელება, და ცენტრის საქმიანობისათვის ნაჭირო სხვა ბეჭდები და შტამპები.

7. ცენტრი უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს.

8. ცენტრის შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო. ცენტრი მიეკუთვნება შრომის ანაზღაურების I ჯგუფს.

9. ცენტრის ქვედანაყოფთა სტრუქტურული ცვლილებები საჭიროების კვალობაზე ხორციელდება დადგენილი წესით.

10. ცენტრთან იქმნება ახალი საქონლის სპეციალიზებული მაღაზია ცენტრის რეკომენდაციებითა და ხელშეწყობით სერიულ წარმოებაში დანერგილ ნაკეთობათა რეალიზაციის უნარის აპრობაციისათვის.

11. ცენტრის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

II. ცენტრის ხელმძღვანელობა

12. ცენტრს სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

13. დირექტორი ორგანიზაციას უწევს ცენტრის მუშაობას და მთლიანად აგებს პასუხს მისი საქმიანობის მდგომარეობისათვის.

14. დირექტორი ამ დებულების საფუძველზე (საამისოდ განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე) მოქმედებს ცენტრის სახელით, წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს კანონის შესაბამისად ცენტრის ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, იძლევა მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით), ხსნის ბანკის დაწესებულებებში ცენტრის ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშებს.

15. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დირექტორი:

— გამოსცემს ცენტრის ბრძანებებსა და განკარგულებებს;

— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ცენტრის მუშაკთა მიღებასა და დათხოვნას, ცენტრის მთავარი ინჟინრის, დირექტორის მოადგილისა და მთავარი ბუღალტრის გარდა, იყენებს წახალისების ღონისძიებებს და ადებს სასჯელს ცენტრის მუშაკებს;

— გასცემს პრემიებს ახალი საქონლის ათვისებისა და სერიული გამოშვებისათვის საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

— ხელს აწერს საგადასახდელო მოთხოვნებსა და დავალებებს, ბანკის ჩეკებს, აგრეთვე ბანკებში შესასრულებელ ოპერაციათა და დავალებათა დოკუმენტებს. ფულადი ხასიათის დოკუმენტებს ხელს აწერს აგრეთვე მთავარი ბუღალტერი.

16. ცენტრის მთავარ ინჟინერს, დირექტორის მოადგილეს კომერციული მუშაობის დარგში, აგრეთვე მთავარ ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ცენტრის დირექტორის წარდგენით.

17. ცენტრის მთავარი ინჟინერი და დირექტორის მოადგილე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რომელსაც განსაზღვრავს დირექტორი, მოქმედებენ ცენტრის სახელით სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ასრულებენ სამეურნეო ოპერაციებს და დებენ ხელშეკრულებებს საამისოდ განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე ამ დებულების საფუძველზე, აგრეთვე აძლევენ მინდობილობებს ცენტრის მუშაკებს.

18. ცენტრის მთავარ ინჟინერს, დირექტორის მოადგილესა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მათდამი მინდობილ უბნებზე მუშაობის მდგომარეობისთავის.

III. ცენტრის ძირითადი ამოცანები

19. მონაწილეობა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, კერძოდ, საჭირო სამრეწველო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის, სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების საქმეში პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციაში.

20. სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის კოორდინაცია ახალი და უკმარი საქონლის საცდელი პარტიების წარმოებაში დანერგვისათვის საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მოხმარების საქონლის რესპუბლიკური კომისიების სამუშაო ორგანოს უფლებებით და მონაწილეობა სახალხო მოხმარების საქონლის სერიული წარმოების კოორდინაციასა და უკმარი საქონლის შემოსაზიდად ვაჭრობის ორგანიზაციათა საქმიანობაში, ამ საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების მოცულობის კონტროლი.

21. რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის შესწავლა და რეზერვების გამოვლენა გამოსაშვებ ნაკეთობათა წარმოების გაფართოებისა და სამომხმარებლო თვისებების ამაღლების, აგრეთვე სახალხო მოხმარების ახალი თანამედროვე საქონლის შექმნისა და სამრეწველო ათვისების მიზნით.

22. ერთიანი ტექნიკური და საასორტიმენტო პოლიტიკის განხორციელება ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის დარგში, მოძვე-

ლებულ ნაკეთობათა წარმოებიდან მოხსნა, ასორტიმენტის გაფართოება და გაუმჯობესება მომხმარებელთა მოთხოვნილების ამსახველი მონაცემების საფუძველზე, სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკური დონისა და ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლება.

23. საომხმარებლო თვისებათა კომპლექსის, ტექნიკური დონის, საიმედოობისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საზღვარგარეთული და სამამულო წარმოების სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის ნიმუშების გადაცემა რესპუბლიკის საწარმოებისათვის სამრეწველო ათვისების მიზნით და ხელშეკრულებათა დადება ამ საქონლის წარმოების თაობაზე.

24. აქტიური ზემოქმედება მრეწველობაზე შექმნილი საწარმოო პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებისა და სახალხო მოხმარების ახალი თანამედროვე და უკმარი საქონლის სამრეწველო ათვისების ვადების რადიკალური შემცირების მიზნით.

25. მუშაობის ახალი მეთოდების და მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა შორის საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობის ახალი ფორმების ექსპერიმენტული ძიება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და რეალიზაციისათვის ეკონომიკური სტიმულირებისა და წანამძღვარების შემუშავებისა და აპრობაციის მიზნით.

ექსპერიმენტული შემოწმება მიმდინარეობს სისტემაში „ცენტრი" — საწარმო — „ცენტრის" მაღაზია კონკრეტულ საწარმოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე.

IV. ცენტრის უფლება-მოვალეობანი

რესპუბლიკის საწარმოთა სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენების დარგში

26. ცენტრი ახორციელებს რესპუბლიკის საწარმოთა მიღწეული სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამსახველი მონაცემების დაგროვებას, სისტემატიზაციას, დამუშავებასა და განახლებას შემდეგ ძირითად საკითხებზე;

— სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური სამსახურების შემადგენლობა და რიცხოვნობა;

— საინსტრუმენტო წარმოების საწარმოო სიმძლავრე;

— წარმოებაში გამოყენებული მასალები და ნედლეული;

— საწარმოში გამოყენებულ ტექნოლოგიურ პროცესთა დასახელება;

— წარმოების ნარჩენები და სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად მათი გამოყენების შესაძლებლობა.

27. ცენტრი აგროვებს და აანალიზებს ცნობებს რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის წარმოების შესახებ დამამზადებელ საწარმოთა მონაცემების მიხედვით:

— მიმდინარე წარმოების საქონლის შესახებ;

— საწარმოებლად მოსამზადებელი საქონლის შესახებ;

— პერსპექტიული ათვისებისათვის გათვალისწინებული საქონლის შესახებ;

— წარმოების ნარჩენებისაგან დასამზადებელი საქონლის შესახებ.

28. საინფორმაციო ფონდის შექმნის მიზნით ცენტრი უგზავნის საწარმოებს შეკითხვას „სამრეწველო საწარმოს საინფორმაციო ბარათის“ სახით, რომელიც საწარმოებმა უნდა შეავსონ, დაამოწმონ დადგენილი წესით და გადასცენ ცენტრს ძირითადი კარტოთეკის შესადგენად.

29. ცენტრს სისტემაში მოჰყავს ინფორმაცია და ქმნის მეორეულ კარტოთეკებს მოცემული ნიშნების მიხედვით (უწყებრივი დაქვემდებარება, გამოსაშვები საქონლის ჯგუფები, ტექნოლოგიური შესაძლებლობანი და ა. შ.).

30. ცენტრი ყოველწლიურად არა უგვიანეს III კვარტალის დამლევისა, იღებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკურ ნუსხას და იმ ნაკეთობათა ნუსხას, რომლებიც უნდა მოიხსნას წარმოებიდან, ანდა შემცირდეს მათი გამოშვების მოცულობა ან შეიცვალოს უფრო სრულყოფილით. უკმარი საქონლის ნუსხა შეიცავს სამი ჯგუფის საქონელს: მრეწველობის მიერ წარმოებული საქონელი; სამომხმარებლო თვისებების ამაღლების მიზნით განსაახლებელი საქონელი და ახალი საქონელი, რომელსაც წინათ არ აწარმოებდა სამამულო მრეწველობა. ნუსხაში აღნიშნული უნდა იყოს მოთხოვნილება ამ საქონელზე წლების მიხედვით, მათ შორის საპროგნოზო მოთხოვნილების მონაცემები.

31. უკმარი საქონლის ნუსხის ტექნიკური ანალიზის შედეგად ცენტრი სახავს ნაკეთობების (ნაკეთობათა ჯგუფების) მიხედვით განზოგადებულ საწარმოო-ტექნიკურ დახასიათებას (წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიურ პროცესებს, მოწყობილობასა და ნედლეულს). ცენტრის საინფომაციო ფონდში შეირჩევა ანალოგიური ნაკეთობების (ნაკეთობათა ჯგუფების) დამამზადებელი ქარხნები. საწარმოთა სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ამსახველი მონაცემები უჯერდება ნაკეთობის განზოგადებულ საწარმოო-ტექნიკურ დახასიათებას და ისახება ღონისძიებანი სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის სამრეწველო ათვისების ყველა ეტაპის მიხედვით.

32. ცენტრი ქმნის მიზნობრივი დანიშნულების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ფონდს თავისი საწარმოო საქმიანობის ძირითად მიმართულებათა თანახმად. ფუძემდებელი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის განსავითარებლად ცენტრი შეიმუშავებს წინადადებებს სახალხო მოხმარების ახალი საქონლის ტექნიკური დოკუმენტაციისა და ნიმუშ-ეტალონების შეთანხმების წესის გამარტივებისა და ვადების შემცირების შესახებ.

33. ცენტრი ახორციელებს რესპუბლიკის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამსახველი ინფორმაციის მიზნობრივ ანალიზებს და შეიმუშავებს მათ საფუძველზე წინადადებებს:

— სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვებ საწარმოთა რაოდენობის გაფართოების შესახებ;

— ეკონომიკური რეგიონის შიგნით კოოპერირებულ მიწოდებათა შესახებ;

— ახალი თანამედროვე საქონლის ათვისებისა და სახალხო მოხმარების ამოშვებული საქონლის სამომხმარებლო თვისებების ამაღლების პროცესში რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციათა და საწარმოთა ტექნიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ;

— ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების კომპლექსის მიხედვით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საქონლის გამოშვების მოცულობის გადიდების შესახებ;

— სახალხო მოხმარების ახალი საქონლის წარმოების მომზადების ვადების რადიკალური შემცირებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ.

34. ცენტრი სამუშაო წესით ავლენს ტექნოლოგიის ცალკეულ სახეობებში საწარმოო სიმძლავრეებისა და წარმოების სახეობათა მიხედვით საწარმოთა რეზერვებს და შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის საწარმოებისათვის კოოპერირებული მიწოდების ან ტექნიკური ურთიერთდახმარების წესით მათი გამოყენების შესახებ.

35. ცენტრი შეიმუშავებს წინადადებებს სახალხო მოხმარების საქონლის დასამზადებლად წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენების შესახებ.

დაგეგმვის დარგში

36. ცენტრის სამუშაო გეგმას აყალიბებს და ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო დადგენილი წესით ცენტრის ხელმძღვანელობისა და რესპუბლიკური მმართველობის ორგანოების წინადადებათა მიხედვით.

37. სერიულ წარმოებაში დასანერგ ნაკეთობათა ნომენკლატურას განსაზღვრავს ცენტრი უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკური ნუსხის შესაბამისად. დანერგვის გეგმაში შესატანად ნაკეთობათა შერჩევა ხორციელდება ნუსხაში აღნიშნული პრიორიტეტის და საწარმოთა საწარმოო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების მიხედვით ცენტრის საინფორმაციო ფონდის მონაცემების შესაბამისად.

38. წარმოებაში დასანერგ ნაკეთობათა შემუშავებული ნუსხა უთანხმდება საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და გაერთიანებებს და წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რათა მათ დანერგვის გეგმაში შეიტანონ ახალი სახეობების ნაკეთობათა წარმოება.

39. კომპლექსური გეგმის პროექტი და მისი რეალიზაციის ღონისძიებანი მუშავდება წარმოებიდან მოსახსნელ ან განსაახლებელ ნაკეთობათა ნუსხის, აგრეთვე შემუშავებული ან ახალი საქონლის სერიული წარმოების თაობაზე საწარმოთა შემხვედრი წინადადებების გათვალისწინებით, თუ ეს ნაკეთობები შეტანილია უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკურ ნუსხაში.

40. ცენტრი ახორციელებს სისტემატურ კონტროლს კომპლექსური გეგმის შესრულების მიმდინარეობისადმი, ამასთან პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების პერსპექ-

ტივების რესპუბლიკურ კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების კონტროლის კომისიას.

41. დამტკიცებული კომპლექსური გეგმა სავალდებულო დოკუმენტია რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებისა და მის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საკითხებზე.

დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში

42. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციებთან:

ა) ცენტრი დირექტორის ან მისი მოადგილეების სახით მონაწილეობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების კონტროლის კომისიის მუშაობაში — ცენტრის დირექტორი ამ კომისიის წევრია;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების კონტროლის კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად ცენტრი წარუდგენს მას ანგარიშებს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის ათვისებისა და წარმოებაში დანერგვისათვის გაწეული მუშაობის შესახებ და წინადადებებს ამ საქონლის წარმოების განვითარების, აგრეთვე ცენტრის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე;

გ) ცენტრის ხელმძღვანელი მონაწილეობს ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამეურნეო დანიშნულებისა და გალანტერეის ცენტრალიზებული დაუგეგმავი საქონლის წარმოების განლაგების საკოორდინაციო ცენტრის მუშაობაში;

დ) ცენტრი ამყარებს და აქვს სამუშაო წესით უშუალო საქმიანი კავშირურთიერთობა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებთან (ტერიტორიული სამმართველოები). ცენტრი და ტერიტორიული სამმართველოები ეწევიან ერთობლივ, კოორდინირებულ პრაქტიკულ მუშაობას უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკურ ნუსხაში შეტანილი სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე. ტერიტორიული სამმართველოების მიერ ცენტრთან ერთად შესრულებული მუშაობის მოცულობა და შინაარსი, აგრეთვე მათი მატერიალური დაინტერესება უზრუნველყოფილია შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოების დებულებათა თანახმად;

ე) ცენტრი ამზადებს ზემდგომი ორგანიზაციებისათვის ინფორმაციას სახალხო მოხმარების ახალი საქონლის სამრეწველო ათვისებისა და ბაზრისათვის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ვ) რესპუბლიკური საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ცენტრს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შეაქვს წინადადებანი სახალხო მოხმარების ახალი თანამედროვე და უკმარი საქონლის სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის და მოძველებული, მოსახლეობაში მოთხოვნილების არმქონე საქონლის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

ზ) ცენტრი შეიმუშავებს შესაბამისი სამრეწველო სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის წინადადებებს ცენტრის ფონდიდან ნიმუშების გამოყენებით სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის ათვისების შესახებ;

თ) ცენტრი შეიმუშავებს და უგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების კონტროლის კომისიას, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადებებს, ცენტრის ნიმუშების მიხედვით ახალი და უკმარი საქონლის წარმოების ათვისების შესახებ შემდგომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების პროექტების დამუშავებისათვის. აღნიშნული წინადადებანი განიხილება დანიშნულებისამებრ ცენტრის მონაწილეობით.

43. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ახალი საქონლის წარმოებაში დანერგვის საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიესთან“:

ა) საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიე“ ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას ცენტრის საწარმოო საქმიანობისადმი.

ამასთან დაკავშირებით:

— თავის საქმიანობაში ცენტრი იყენებს „სოიუზპრომვნედრენიეს“ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას და მის რეკომენდაციებს მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის და „სოიუზპრომვნედრენიესთან“ კოორდინაციის საფუძველზე და ცენტრის დებულების მოთხოვნების გათვალისწინებით საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ;

— „სოიუზპრომვნედრენიეს“ მიწვევით ცენტრი მონაწილეობს ტექნიკურ თათბირებში, კონფერენციებში გამოცდილების გაზიარების საკითხებზე, სემინარებში და მუშაობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფის სხვა ღონისძიებებში;

— ცენტრი იყენებს „სოიუზპრომვნედრენიეს“ სამუშაო დოკუმენტების მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და საწარმოო საქმიანობის ანგარიშგების ფორმებს როგორც ფუძემდებელ დოკუმენტებს. საჭიროების კვალობაზე აღნიშნული დოკუმენტები შეიძლება დამატებით დამუშავდეს ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურის სპეციფიკისა და დებულების შესაბამისად;

— ცენტრი იღებს „სოიუზპრომვნედრენიესაგან“ ტექნიკურ ბრძანებებს, თათბირების, კონფერენციებისა და სემინარების მასალებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებს მისი ფილიალებისათვის დაწესებული მოცულობითა და წესით და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს თავისი მუშაობის პროცესში მათი რაც შეიძლება სრული რეალიზაციისათვის;

— „სოიუზპრომვნედრენიე“ ახორციელებს საჭიროების კვალობაზე ცენტრის მუშაკთა ტექნიკურ კონსულტაციას წამოჭრილ საკითხებზე;

— „სოიუზპრომვნედრენიეს“ და მისი ფილიალების მუშაკებთან თანაბარ საფუძველზე ცენტრის მუშაკები მონაწილეობენ პროფესიული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სწავლებაში;

ბ) საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპროვნედრენიე“ უზრუნველყოფს ცენტრს:

— საზღვარგარეთული და სამამულო წარმოების სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშებით;

— საზღვარგარეთის ფირმების, სამამულო სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების კატალოგებით, საზღვარგარეთისა და სამამულო გამოფენების პროსპექტებითა და „სოიუზპრომვნედრენიეში“ და მის ფილიალებში არსებული სხვა საინფორმაციო მასალების სრული მოცულობით, აგრეთვე ხელს უწყობს ნიმუშებისა და ზემოაღნიშნული საინფორმაციო მასალების გაცვლას „სოიუზპრომვნედრენიეს“ ფილიალებსა და ცენტრს შორის. მატერიალურ ფასეულობათა ანაზღაურებისა და აღრიცხვის წესი განისაზღვრება „სოიუზპრომვნედრენიეს“ ცენტრსა და ზემდგომ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებით.

44. სამრეწველო საწარმოებთან:

ა) ცენტრი თავისი ფუნქციონირების პროცესში უწევს საწარმოებს სხვადასხვაგვარ ტექნიკურ მომსახურებას (პერსპექტიული ნიმუშების შერჩევა, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების ამსახველი მონაცემების გადაცემა, კონსულტაციები ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დამტკიცების საკითხებზე და ა. შ. (იხ. ამ დებულების 63-ე პუნქტი);

ბ) ცენტრის საწარმოო-ეკონომიკურ ურთიერთობას საწარმოებთან საფუძვლად უდევს ორმხრივი ხელშეკრულებანი კონკრეტულ ნაკეთობათა (სახალხო მოხმარების საქონლის) საცდელი პარტიის სამრეწველო ათვისების, აგრეთვე ცენტრის მაღაზიაში რეალიზაციის შესახებ. ცენტრსა, მის მაღაზიასა და საწარმოს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის იურიდიული ურთიერთპასუხისმგებლობის ღონისძიებანი გათვალისწინებულია ხელშეკრულების ფორმით. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ურთიერთპრეტენზიები განიხილება სახელმწიფო არბიტრაჟთან დადგენილი წესით;

გ) ახალი ნაკეთობის ათვისების ან მისი სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით გამოშვებული ნაკეთობის მოდერნიზაციის შესახებ ცენტრის წინადადების შესაბამისად საწარმო იღებს ცენტრის ფონდიდან სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების ამ ნაკეთობის ნიმუშ-ანალოგებს დადგენილი წესით მინდობილობის მიხედვით. ნიმუშების მიღებისას საწარმო გასცემს „ვალდებულებას“ (დოკუმენტი, რომელიც არეგლამენტებს ცენტრისა და საწარმოს ურთიერთობას მოცემულ ეტაპზე და საწარმოს ვალდებულებას მოცემული ნაკეთობის სამრეწველო ათვისების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადების მიხედვით);

დ) ახალი ნაკეთობის სამრეწველო ათვისების პერიოდისათვის, საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შემუშავებიდან საცდელი პარტიის გამოშვებამდე, ცენტრსა და საწარმოს შორის იდება ორმხრივი „ხელშეკრულება სახალხო მოხმარების ახალი საქონლის სერიული წარმოების ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის სამომხმარებლო თვისებათა გაუმჯობესების შესახებ". ხელშეკრულება არეგლამენტებს ახალი ნაკეთობის წარმოების მომზადებისა და საცდელი პარტიის გამოშვების ეტაპების შესრულების ვადებს, აგრეთვე მხარეთა ურთიერთვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის;

ე) ცენტრს საწარმოსთან შეთანხმებით შეუძლია აიღოს სარეალიზაციოდ თავის მაღაზიაში ახალგამოშვებული ნაკეთობა მისი რეალიზაციის აპრობაციისა და კონკრეტულ ნაკეთობაზე მოთხოვნილების განსაზღვრის მიზნით. ამ შემთხვევაში უნდა დაიდოს ხელშეკრულება საცდელი პარტიის მიწოდებისა და რეალიზაციის შესახებ;

ბ) სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლისათვის, რომლის სამრეწველო ათვისება განხორციელდა ცენტრის წინადადებით ან საწარმოთა ინიციატივით, მაგრამ ცენტრთან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ხოლო ამ ნაკეთობათა საცდელი პარტიის გაყიდვა დასახულია ცენტრის მაღაზიის მეშვეობით, შეიძლება დაწესდეს დროებითი საცალო ფასი საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული წესის შესაბამისად;

ზ) ცენტრი სისტემატურ კონტროლს უწევს საწარმოებთან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ვადებს — ცენტრისაგან ნიმუშ-ანალოგების მიღებიდან ნაკეთობის გასაყიდად შემოსვლამდე. კონტროლი ხორციელდება ნაკეთობის თანხლების მეთოდით „სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობისათვის მიწოდების ორგანიზაციის გრაფიკის" მიხედვით.

45. ვაჭრობის საწარმოებთან:

ა) ცენტრი მონაწილეობს რესპუბლიკურ და სარესპუბლიკათაშორისო საბითუმო ბაზრობათა მუშაობაში. საბითუმო ბაზრობათა შედეგების მიხედვით მას შეაქვს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წინადადებანი მოძველებული, მოსახლეობის მოთხოვნილების არმქონე საქონლის წარმოებიდან მოხსნის და ახალი და უკმარი საქონლით მისი შეცვლის შესახებ;

ბ) მომხმარებელთა მოთხოვნილების დინამიკისა და უკმარი საქონლის ნუსხის შესაბამისი კორექტირების, რესპუბლიკური მრეწველობის მიერ სახალხო მოხმარების ახალი საქონლის ათვისებისა და მოსალოდნელი გამოშვების პერსპექტივის და რესპუბლიკის ბაზარზე ამ საქონლის მიწოდების შეფერხებათა ლიკვიდაციის, რესპუბლიკის ბაზარზე სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის ნიმუშების მუდმივმოქმედი გამოფენისა და სხვა მიზნობრივი თემატური და კომპლექსური გამოფენების დაკომპლექტების საკითხებზე ცენტრის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის

გამგეობის საბითუმო, საბითუმო-საცალო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის საბითუმო, საბითუმო-საცალო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სხვა საკითხებზე ცენტრი რეგულარულად ატარებს ოპერატიულ საკოორდინაციო თათბირებს ამ ორგანიზაციების და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სამმართველოთა კომპეტენტურ წარმომადგენლებთან.

საკოორდინაციო თათბირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სამმართველოთა უფროსები და ცენტრის დირექტორი, და ისინი სავალდებულოა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ყველა დაინტერესებული ქვედანაყოფისათვის;

გ) გადასცემს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის საბითუმო და საბითუმო-საცალო ბაზებს ცნობებს იმ ახალ და უკმარ საქონელზე, რომელიც განაწილებულია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ცენტრთან დადებული ხელშეკრულებებით სამრეწველო ათვისების შესახებ, საცდელი პარტიების გამოშვების ვადების აღნიშვნით. თავის მხრივ, ხსენებული სავაჭრო საწარმოები მოვალენი არიან დროულად აცნობონ ცენტრს ამ საქონლის ვაჭრობისათვის მისაწოდებლად საწარმოებთან ხელშეკრულების დადების ფაქტი და მისი ვაჭრობაში შემოსვლის ფაქტიური ვადები;

დ) მონაწილეობს ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით საზღვარგარეთ მოწყობილ საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებში;

ე) გადასცემს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებს ცენტრის მაღაზიაში ახალი საქონლის რეალიზაციის აპრობაციის შედეგების შესახებ;

ვ) მონაწილეობს სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკური ნუსხის ფორმირებისათვის მუშაობაში. ნუსხა უნდა შეუთანხმდეს ცენტრს;

ზ) კონტროლს უწევს წარმოების მიერ ათვისებულ სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის საბითუმო ბაზებისათვის მიწოდების თაობაზე ხელშეკრულებათა დროულად დადებას და ვაჭრობაში ამ საქონლის მიწოდების ვადების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკურ ნუსხაში შეტანილი საქონლის მიწოდების თაობაზე დამამზადებელ საწარმოებსა და საბითუმო ბაზებს შორის ხელშეკრულებანი უნდა დაიდოს მხოლოდ ცენტრთან შეთანხმებით და, როგორც წესი, მის ტერიტორიაზე.

ცენტრი ახორციელებს ყველა მსგავსი ხელშეკრულების აღრიცხვას და კონტროლს უწევს მათ გამო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას უკმარი საქონლის მიწოდებისა და რეალიზაციის ვადების ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით;

თ) ხელს უწყობს ვაჭრობისათვის საქონლის მიწოდების თაობაზე გრძელვადიან ხელშეკრულებათა დადებას, ამყარებს და იცავს საქმიან და საწარმოო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობას დამამზადებელ საწარმოებსა და ვაჭრობის საწარმოებს შორის, აგრეთვე ხელს უწყობს პირდაპირი კავშირურთიერთობის განვითარებას „საწარმო—მაღაზიის“ სქემის მიხედვით;

ი) სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის რესპუბლიკურ ნუსხაში შეტანილი საქონლის შემოტანა რესპუბლიკაში საქართველოს სავაჭრო-საშუამავლო კანტორის მეშვეობით უნდა განხორციელდეს მხოლოდ ცენტრთან შეთანხმებით;

კ) რესპუბლიკაში საქონლის ფაქტიური შემოტანის აღრიცხვისათვის საქართველოს სავაჭრო-საშუამავლო კანტორა ყოველთვიურად გადასცემს ცენტრს „ცნობებს საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სახალხო მოხმარების ნამეტი საქონლის გაყიდვისა და შესყიდვის შესახებ“.

სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშების ფონდის შექმნის დარგში

46. ცენტრი ქმნის და ანახლებს სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული ნიმუშების ფონდს.

საქონლის ნიმუშების ფონდი იქმნება:

— სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს „სოიუზპრომვნედრენიეს“ ფონდიდან ნიმუშების გადაცემით ცენტრის მიზნობრივი შერჩევით (სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1984 წლის 19 ივნისის № 181 ბრძანება);

— სსრ კავშირის ვაჭრობის საწარმოებში სამამულო და საზღვარგარეთული საქონლის ნიმუშების შესყიდვით;

— რესპუბლიკის საწარმოების მიერ ცენტრისათვის იმ საქონლის საუკეთესო ნიმუშ-ეტალონების უსასყიდლო გადაცემით, რომელიც დამტკიცებულია დადგენილი წესით, ცენტრთან შეთანხმებული ნუსხის მიხედვით.

საუკეთესო ნიმუშ-ეტალონებს მიეკუთვნება სამომხმარებლო თვისებათა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე პერსპექტიულ ნაკეთობათა ნიმუშები, რომლებიც შერჩეულია რესპუბლიკური საექსპერტო საბჭოს მიერ ცენტრის ფონდის შესავსებად.

ასეთ ნაკეთობებს მიეკუთვნება:

— დადგენილი წესით ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მიხედვით შეფასებული ახალი საქონელი;

— საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე ჟიურის ან სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწონებული ნიმუშების, აგრეთვე საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ ნიმუშებისა და

ცენტრის ნიმუშების (საზღვარგარეთული წარმოების) მიხედვით დამზადებული ახალი საქონელი;

— მოდის მიმართულების ამსახველი, გაუმჯობესებული სახისა და კოლორისტიკის, გადიდებული საიმედოობისა და მოხმარების საგარანტიო ვადის მქონე ორიგინალური მოდელებისა და ფასონების ახალი კონსტრუქციები, რომლებიც დამზადებულია ახალი სახეობებისა და ახალი კომპოზიციების ნედლეულის და მოდური მასალების ან ფურნიტურის გამოყენებით, ისეთი ტექნოლოგიისა და მოწყობილობის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის სამომხმარებლო, საექსპლუატაციო და სხვა თვისებების და მისი გარეგნული გაფორმების გაუმჯობესებას, მათ შორის მაღალი ხარისხის შესაფუთავი მასალის გამოყენებით.

47. უზრუნველყოფს ფონდის ნიმუშების აღრიცხვასა და დაცვა-შენარჩუნებას მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

48. ანაზღაურებინებს მიყენებულ ზარალს სამრეწველო საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს იმ შემთხვევაში, თუ მათ არ დააბრუნეს დაწესებულ ვადაში ან გაფუჭებული დააბრუნეს ცენტრის ფონდიდან მიღებული ნიმუშები, „ვალდებულებასა“ და „ხელშეკრულებაში“ გათვალისწინებული ოდენობით.

49. ჩამოსწერს ცენტრის ფონდიდან არაკომპლექტურ და სასაქონლო სახედაკარგულ ნიმუშებს დადგენილი წესით.

50. გადასცემს დადგენილი წესით საწარმოებს გამოსაყენებლად ან საჯარო ორგანიზაციებს სარეალიზაციოდ ცენტრის ფონდიდან მორალურად მოძველებულ ან ნაწილობრივ სასაქონლო სახედაკარგულ ნიმუშებს (რეგიონალური მრეწველობის ნიმუშ-ეტალონების გარდა).

უფლება-მოვალეობანი სახალხო მოხმარების საქონლის ექსპერტიზის დარგში

51. ცენტრთან ფუნქციონირებს რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭო. მისი ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული დებულებით.

52. საუწყებო სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოებს, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკურ რეგიონში განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საბჭოებსა და კომისიებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, გამოაქვთ თავიანთი გადაწყვეტილებანი მხოლოდ ახალი და უკმარი საქონლის ასორტიმენტის, ტექნიკური დონის, ტექნოლოგიურობის, ესთეტიკისა და სამომხმარებლო თვისებათა საკითხებზე და წარუდგენენ თავიანთ წინადადებებს ცენტრთან არსებულ რესპუბლიკურ დარგთაშორის საექსპერტო საბჭოს.

რესპუბლიკურ დარგთაშორის საექსპერტო საბჭოსა და ცენტრს რესპუბლიკის ეკონომიკურ რეგიონში მინიჭებული აქვს უფლებამოსილებანი დაამტკიცონ ნიმუშ-ეტალონები და სანქცია მისცენ საექსპერტო საბჭოს დებულების თანახმად გათვალისწინებული ნომენკლატურის მიხედვით ვაჭრობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საქონლის მიწოდებას, რომელსაც უშვებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა. ეს დებულება თანაბრად ვრცელდება როგორც უკმარი საქონლის საერთო-რესპუბლიკური ნუსხის თანახმად ცენტრის ნიმუშების მიხედვით ათვისებულ საქონელზე, ისევე სპეციალიზებული ორგანიზაციების ან უშუალოდ დამამზადებელი საწარმოების მიერ შემუშავებულ საქონელზე.

ვაჭრობისათვის საქონლის მიწოდების თაობაზე ხელშეკრულებები იდება მხოლოდ რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

53. რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭო იწონებს და ამტკიცებს იმ საქონლის სამაკეტო ნიმუშებს, რომელსაც არ უშვებდნენ რესპუბლიკაში, მისი სერიული წარმოების მომზადებისათვის.

54. რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭო ცენტრის წინადადებით ამტკიცებს ნაკეთობათა ნიმუშების წინასწარი განხილვისათვის, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებისა და რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისათვის შექმნილი ცენტრის დარგობრივი (სამუშაო) კომისიების ნუსხასა და სიობრივ (მუდმივ) შემადგენლობას. რესპუბლიკურ დარგთაშორის საექსპერტო საბჭოზე განსახილველი საკითხები, როგორც წესი, წინასწარ გულდასმით უნდა გააანალიზონ და ყოველმხრივ შეისწავლონ დარგობრივმა (სამუშაო) კომისიებმა.

55. დარგობრივი (სამუშაო) კომისიების მუდმივი შემადგენლობა კომპლექტდება ცენტრის მუშაკთა რიცხვიდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტებითა და გარეშე ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან მიწვეული სპეციალისტებით. საჭიროების კვალობაზე კონკრეტული ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გადასაწყვეტად შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა კომპეტენტური სპეციალისტებიც.

56. დარგობრივი (სამუშაო) კომისიების თავმჯდომარეები არიან რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს წევრები. საექსპერტო საბჭოს სხდომაზე თითოეული თავმჯდომარე ინფორმაციას აწვდის საბჭოს თავის დარგობრივ კომისიაში კონკრეტული საკითხის განხილვის შედეგების შესახებ და განსახილველად გააქვს აღნიშნულ საკითხებზე კომისიის მიერ შემუშავებული საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი.

57. ცენტრს უფლება აქვს დაამტკიცოს რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დავალებით ნიმუშ-ეტალონები (შეფუთული) და გაუშვას სავაჭრო ქსელში კონსტრუქტორული და (ან) ტექნოლოგიური თვალსაზრისით უმარტივესი არასასურსათო საქონელი, რომელიც ათვისებულია ცენტრის ნიმუშების მიხედვით ან შემუშავებულია დამამზადებელ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ინიციატივით.

58. რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ცენტრი აფორმებს ნიმუშ-ეტალონის თითოეული ეგზემპლარისათვის იარლიყს რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს

დებულების დანართის თანახმად და პლომბავს თითოეულ ნიმუშ-ეტალონს, ორი ეგზემპლარი რჩება ცენტრში (უსასყიდლოდ). კონკრეტული ნაკეთობის ნიმუშ-ეტალონების რაოდენობა განისაზღვრება რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებით დამამზადებელი საწარმოს წინადადების საფუძველზე.

59. ცენტრი ათანხმებს დარგობრივი (სამუშაო) კომისიების რეკომენდაციის შესაბამისად სავაჭრო ორგანიზაციების სახელით ნაკეთობის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას „სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, ნიმუშ-ეტალონებისა და ფასების შემუშავებისა და დამტკიცების წესის გამარტივების შესახებ“ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის 1983 წლის 24 ივნისის № 9-4/110 და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1983 წლის 24 ივნისის № 10-17/2214-25 წერილის თანახმად.

60. ცენტრი ასრულებს საორგანიზაციო და ტექნიკურ სამუშაოს რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს სხდომების, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკური რეგიონის საწარმოების მიერ დადგენილი წესით სერიულად გამოშვებული პროდუქციის დათვალიერებათა მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

მეთოდური მუშაობის, ინფორმაციის, ტექნიკური პროპაგანდისა და რეკლამის დარგში

61. ცენტრის შემადგენლობაში შექმნილია ორი მუდმივმოქმედი ძირითადი სამუშაო გამოფენა:

— „სოიუზპრომვნედრენიეს“ ფონდის სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო საზღვარგარეთული ნიმუშების გამოფენა;

— რესპუბლიკის ბაზარზე უკმარი სამამულო წარმოების სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშების გამოფენა.

ამ გამოფენებიდან ნიმუშები უშუალოდ გადაეცემათ საწარმოებს მათი სამრეწველო ათვისებისათვის.

62. უკმარი საქონლის გამოფენა იქმნება უკმარი საქონლის საერთორესპუბლიკური ნუსხის თანახმად და იცვლება ნუსხის შესაძლო კორექტირებათა შესაბამისად.

ამ გამოფენის შექმნისა და უკმარი საქონლის ნუსხასთან შესაბამისობისათვის პასუხს აგებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ორგანიზაციები.

63. საუკეთესო საზღვარგარეთული ნიმუშების გამოფენა იქმნება ცენტრის მიერ და თავისი შინაარსით მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს უკმარი საქონლის ნუსხას რესპუბლიკის საწარმოების საწარმოო-ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

64. უკმარი საქონლის ნუსხის თანახმად სამრეწველო ათვისებისათვის ნიმუშების შერჩევისას საწარმოს სავალდებულო წესით გადაეცემა როგორც სამამულო, ისევე საზღვარგარეთული წარმოების ნიმუშები.

65. ცენტრი ორგანიზაციას უწევს და აწყობს თავის სამოქმედო რაიონში სამრეწველო საწარმოებთან და უწყებებთან შეთანხმებით საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებსა და მსხვილ საწარმოებში ცენტრის ფონდის სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების საქონლის საუკეთესო ნიმუშების სადემონსტრაციოდ თემატურ გამოფენებს.

გამოფენის ფუნქციონირების პერიოდში ატარებს კონსულტაციებს, ლექციებსა და ტექნიკური პროპაგანდის სხვა ღონისძიებებს, უჩვენებს სარეკლამო მასალებს, აგრეთვე დებს ხელშეკრულებებს გადასაცემი ნიმუშების სამრეწველო ათვისების მიზნით.

66. ცენტრი აწყობს რესპუბლიკის დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში კომპლექსურ გამოფენებს, რომლებზეც ატარებს საჭირო კონსულტაციებს, დებს ხელშეკრულებებს და გადასცემს სამრეწველო გაერთიანებებსა და საწარმოებს ნიმუშებს ასათვისებლად და ამავე დროს ახორციელებს მუშაობას ტექნიკური პროპაგანდის დარგში.

67. ცენტრი ორგანიზაციას უწევს და ატარებს აგრეთვე მიზნობრივი და თემატური მიმართულების სხვა გამოფენებს სამუშაო გეგმების თანახმად, აგრეთვე რესპუბლიკური მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით, ამასთან იწვევს მათ მუშაობაში მონაწილეობისათვის რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს.

68. ცენტრი ახორციელებს მრეწველობისა და ვაჭრობის მუშაკთა თათბირების ორგანიზაციას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებზე.

69. ცენტრი კონსულტაციას უწევს საწარმოთა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა მუშაკებს ცენტრში არსებული ნიმუშებისა და საინფორმაციო მასალების საფუძველზე სახალხო მოხმარების ახალი საუკეთესო საქონლის ათვისების საკითხებზე.

70. ცენტრი გამოსაცემად ამზადებს სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების საქონლის შესახებ საცნობარო და საინფორმაციო მასალებს საერთო-საკავშირო გაერთიანება „სოიუზპრომვნედრენიეს“ მიერ გამოცემული ბიულეტენისათვის „ნოვიე ტოვარი“.

71. ცენტრი ამზადებს საინფორმაციო მასალებს და ორგანიზაციას უწევს მუშაობას ცენტრის ნიმუშების ფონდისა და საინფორმაციო მასალების, კატალოგების, პროსპექტების, ჟურნალების საფუძველზე მრეწველობის მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის ახალი საუკეთესო ნიმუშების რეკლამისათვის რესპუბლიკის პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და სარეკლამო ორგანიზაციების („სოიუზტორგრეკლამა“, „საქკოოპრეკლამა“ და ა. შ.) მეშვეობით.

საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის დარგში

72. საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის დარგში ცენტრი ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სა-

ხელმწიფო კომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მითითებებით საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის საკითხებზე, აგრეთვე ცენტრის დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანიზაციის შესაბამისი ბრძანებებითა და განკარგულებებით.

73. საზღვარგარეთული ნიმუშების კვლავწარმოების შემთხვევაში ცენტრი კონსულტაციას უწევს დამამზადებელ საწარმოს საპატენტო სიწმინდის გათვალისწინებით მათი წარმოების შესაძლებლობის შესახებ.

მორალური და მატერიალური სტიმულირების დარგში

74. ცენტრი აძლევს რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს მიერ დანიშნულ პრემიებს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს ახალი საქონლის ათვისებისა და სავაჭრო ქსელში დროულად მიწოდებისათვის.

ცენტრს უფლება აქვს განიხილოს ამ პრემიების ოდენობა მათი შემცირების მხრივ იმ შემთხვევებში, თუ დამამზადებელი არ შეასრულებს ათვისებული საქონლის სავაჭრო ქსელისათვის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

75. ცენტრი მონაწილეობს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიერ ახალი და უკმარი საქონლის დაწესებულ ვადებში წარმოების ათვისების დავალებათა შესრულებისათვის (შეუსრულებლობისათვის) მატერიალური წახალისების ფონდის გადიდების (შემცირების) ოდენობის, აგრეთვე ახალი და უკმარი საქონლის წარმოების ათვისებასა და მასობრივი გამოშვების ორგანიზაციაში უშუალოდ მონაწილე საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მუშაკთა პრემირების ოდენობის განსაზღვრაში.

76. ცენტრი წარუდგენს საექსპერტო საბჭოს წინადადებებს იმ სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის საპატიო დიპლომების მინიჭების შესახებ, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს მოიპოვებენ ცენტრის ფონდის ნიმუშების მიხედვით დამზადებულ ახალ ნაკეთობათა ათვისებაში.

77. ცენტრი პრემიებს აძლევს თავის მუშაკებს აქტიური საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის და გასცემს პრემიებს ცენტრის შესაბამისი ფონდიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ დამტკიცებული ცენტრის მუშაკთა პრემირების დებულების თანახმად.

78. ცენტრს მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ცენტრისა და მაღაზია-სალონ „სიახლის“ მუშაკთა დამატებითი მატერიალური სტიმულირება (ამ დებულების 59-ე პუნქტის თანახმად პრემიების გაცემის გარდა) რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში გადიდებული მოთხოვნილების საქონლის სამრეწველო გამოშვების ორგანიზაციის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და მაღაზია-სალონ „სიახლეში“ ამ საქონლის პირველი სამრეწველო

(საცდელი) პარტიების რეალიზაციისათვის. ცენტრისა და მაღაზია-სალონ „სიახლის“ მუშაკებს პრემიები მატერიალური წახალისების სახით მიეცემათ ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების სპეციალური ფონდიდან, რომელიც შექმნილია მაღაზია-სალონ „სიახლის“ მოგების ანარიცხებისა და კომერციულ ფასებში საქონლის რეალიზაციისაგან.

დამატებითი მატერიალური სტიმულირებისათვის სპეციალური ფონდის ფორმირების წყაროები, აგრეთვე ამ ფონდიდან გასაცემი ჯილდოების ოდენობა და თანხების გაცემის წესი განსაზღვრულია მაღაზია-სალონ „სიახლის“ დებულებით.

79. მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისა და თავის მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფის მიზნით ცენტრს მინიჭებული აქვს უფლება პრაქტიკულად გამოიყენოს „რეკომენდაციები სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის განვითარების შესახებ“ (სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1983 წლის 12 მაისის № 047-75 და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის № 3-72/362 წერილის თანახმად).

უფლება-მოვალეობანი ფასწარმოქმნის დარგში

ცენტრის სამუშაო ორგანოს — მაღაზია-სალონ „სიახლეს“ მინიჭებული აქვს უფლება საქონელმწარმოებელთან შეთანხმებით დააწესოს კომერციული ფასები (ინდექსი „კ“) იმ საქონელზე, რომელიც აითვისეს სამრეწველო საწარმოებმა ცენტრთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით და უნდა გასაღდეს ამ მაღაზიაში იმ წესით, რაც დადგენილია მაღაზია-სალონ „სიახლის“ დებულების“ თანახმად.

V. ცენტრის სახსრები

80. ცენტრის ფულად სახსრებს შეადგენენ:

— სახსრები, რომლებსაც გამოჰყოფს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ცენტრის შესანახად ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, დადგენილი წესით;

— სახსრები, რომლებიც მიღებულია ცენტრის მაღაზიაში სახალხო მოხმარების ახალი ან მოდერნიზებული საქონლის საცდელი პარტიების კომერციულ ფასებში რეალიზაციის შედეგად.

81. რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების ახალი საქონლის წარმოების განვითარების, ამ მუშაობის კოორდინაციისა და საქონელმწარმოებელი სამრეწველო საწარმოებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით ცენტრი უწევს შემდეგ ძირითად მომსახურებას:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს, შეარჩევს და გასცემს სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების ნიმუშებს;

ბ) გასცემს ცნობებს საქონელზე მოთხოვნილების შესახებ წლების მიხედვით და პერსპექტივისათვის;

გ) განსაზღვრავს და აზუსტებს საქონელზე მოთხოვნილებას გამოკითხვისა და ცენტრის მაღაზიაში საკონტროლო რეალიზაციის გზით;

დ) კონსულტაციას უწევს ნაკეთობის, ტექნიკური დოკუმენტაციისა და ტექნოლოგიის შემუშავების საკითხებზე;

ე) კონსულტაციას უწევს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების საკითხებზე;

ვ) ხელს უწყობს ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებასა და მიღებაში;

ზ) განსაზღვრავს დეტალებისა და კვანძების წარმოებაში კოოპერაციის პარტნიორს;

თ) განსაზღვრავს შესაფუთავის შემუშავებისა და წარმოების დროს კოოპერაციის პარტნიორს;

ი) ხელს უწყობს მოწყობილობით უზრუნველყოფის საკითხებზე ტექნიკური დახმარების გაწევაში;

კ) ხელს უწყობს მასალებით უზრუნველყოფის საკითხებში ტექნიკური დახმარების გაწევაში;

ლ) ორგანიზაციას უწევს რეკლამას ტელევიზიის, პრესის მეშვეობით;

მ) აწყობს თემატურ გამოფენებს საწარმოთა, სამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა შეკვეთით;

ნ) აწყობს კომპლექსურ გამოფენებს შეკვეთით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოები, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, უნაზღაურებენ ცენტრს ახალი და უკმარი საქონლის წარმოების მომზადების პროცესში მათთვის გაწეული ტექნიკური მომსახურების ხარჯებს (დებულების 63-ე პუნქტი). ანაზღაურების თანხა გამოიანგარიშება მხარეთა შეთანხმებით, როგორც წარმოების მომზადებისათვის დანახარჯების ერთგვარი პროცენტი.

თემატური და კომპლექსური გამოფენების ორგანიზაციისათვის (დებულების 63-ე პუნქტი) ანაზღაურება ხორციელდება კალკულაციის თანახმად. აღნიშნული სახსრები ჩაირიცხება სპეციალურ სამეურნეოანგარიშიან ფონდში და გამოიყენება განსაკუთრებული განკარგულებით.

82. მატერიალური წახალისების მიზნით მაღაზია-სალონ „სიახლისა" და მრეწველობისაგან შემოსული სახსრების გამოყენების, აგრეთვე სხვადასხვა საოპერაციო ხარჯების გაწევის შესაძლებლობის შესაქმნელად ცენტრს აქვს სპეცსახსრების დამატებითი ანგარიში.

83. დადგენილი წესით შექმნილი ფონდების გარდა, ცენტრში იქმნება ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების ფონდი, აგრეთვე კონიუნქ-

ტურული ფონდი. ამ ფონდების სახსრების შექმნისა და ხარჯვის წესი განსაზღვრულია მაღაზია-სალონ „სიახლის“ დებულებით.

VI. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახდენს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 14 დეკემბრის № 836 დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკურ დარგთაშორის ცენტრთან („საქცენტრმრეწვდანერგვა") არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭო (შემდგომში „საექსპერტო საბჭო") შექმნილია და ფუნქციონირებს საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკურ დარგთაშორის ცენტრთან („საქცენტრმრეწვდანერგვა") საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 14 დეკემბრის № 836 დადგენილების საფუძველზე ექსპერტიზისათვის წარსადგენი საქონლის ხარისხის, ტექნიკური და ესთეტიკური დონის, სიახლის, პერსპექტიულობისა და სამომხმარებლო თვისებათა კომპლექსის ობიექტური და კვალიფიციური შეფასების მიზნით.

2. საექსპერტო საბჭოს დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საექსპერტო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემით, აგრეთვე ამ დებულებით.

4. საექსპერტო საბჭოს შემადგენლობაში შედიან შემდეგ ორგანიზაციათა სრულუფლებიანი წარმომადგენლები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსი:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა:

— საქართველოს სსრ სახმომარაგებისა:

— საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტისა;

— საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა;

— სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოსი:

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსი;

— „საქცენტრმრეწვდანერგვისა";

— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსი;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსი;

— ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა;

— სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა;

— სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შემსწავლელი სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა;

— სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა;

— იმ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ სახალხო მოხმარების საქონლის შემუშავებასა და გამოშვებას.

5. საექსპერტო საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს არა უმეტეს 30 კაცისა, რომელთაგან არანაკლებ ნახევარი — ტექნიკური და მხატვრული პროფილის სპეციალისტები.

6. საექსპერტო საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას — თავმჯდომარის მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

7. საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარედ და მის მოადგილეებად ინიშნებიან პასუხისმგებელი მუშაკები ამ დებულების მე-4 პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

8. საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე მონაწილეობს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების პერსპექტივების რესპუბლიკური კომისიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ბაზრისათვის მიწოდების კონტროლის კომისიის მუშაობაში.

საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები ანგარიშვალდებული არიან ამ კომისიების წინაშე საექსპერტო საბჭოს მუშაობისათვის.

9. საექსპერტო საბჭოს საქმისწარმოებას ახორციელებს, სხდომათა ოქმებსა და დოკუმენტაციას აფორმებს ტექნიკური მდივანი, რომელსაც ნიშნავს საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დირექტორის წარდგინებით.

10. საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილება უფლებამოსილად ითვლება, თუ საექსპერტო საბჭოს სხდომას, რომელზეც მიღებულია გადაწყვეტილება, ესწრებოდნენ მე-4 პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციათა არანაკლებ ორი მესამედის წარმომადგენლები, მაგრამ აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ შემდეგ ორგანიზაციათა წარმომადგენლები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსი;

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსი;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა;

— საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტისა;

— „საქცენტრმრეწვდანერგვისა“;

— ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა;

— დამამზადებელი საწარმოსი;

— საუწყებო სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე (იმ შემთხვევებში, როცა ნიმუშები განხილულია საუწყებო საბჭოების სხდომებზე ამ დებულების განაყოფით გათვალისწინებული წესით).

11. საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით და მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საექსპერტო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

12. საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს მისი თავმჯდომარე და დაესმის „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გერბიანი ბეჭედი.

13. საექსპერტო საბჭოს გაფორმებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას.

14. საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილება მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

II. მუშაობის ორგანიზაცია

15. საექსპერტო საბჭოს მუშაობა ხორციელდება კვარტალური (ნახევარწლიური, წლიური) გეგმების შესაბამისად. საექსპერტო საბჭოს სამუშაო გეგმების პროექტებს ამზადებს „საქცენტრმრეწვდანერგვა“, განიხილავენ საექსპერტო საბჭოს სხდომებზე და ამტკიცებს მისი თავმჯდომარე.

16. საექსპერტო საბჭოს სხდომები ტარდება თვეში ერთხელ მაინც, როგორც წესი, თვის მეორე კვირის სამშაბათს, 15 საათზე „საქცენტრმრეწვდანერგვის“ შენობაში.

საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს რიგგარეშე სხდომები სპეციალურად დათქმულ ვადებში და დროს.

17. საექსპერტო საბჭოს სხდომების ორგანიზაციას, ოქმების, გადაწყვეტილებებისა და მისი მუშაობის ამსახველი სხვა დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს „საქცენტრმრეწვდანერგვა“.

18. ცალკეული ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების განსახილველად საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება ტექნიკურ ექსპერტებად მიწვეულ იქნენ კომპეტენტური სპეციალისტები რესპუბლიკის ნებისმიერი ორგანიზაციიდან. საექსპერტო საბჭოს სხდომაზე მიწვეულ სპეციალისტებს აქვთ სათათბირო ხმის უფლება.

19. საექსპერტო საბჭო „საქცენტრმრეწვდანერგვის“ წინადადებით ამტკიცებს „საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ შექმნილი სამუშაო კომისიების (საქონლის ჯგუფების მიხედვით) ნუსხასა და მუდმივ სიობრივ შემადგენლობას ნაკეთობათა ნიმუშების, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის წინასწარ განსახილველად და საექსპერტო საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მოსამზადებლად.

20. საექსპერტო საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხები წინასწარ გულდასმით უნდა გააანალიზონ და ყოველმხრივ შეისწავლონ სამუშაო კომისიებმა.

21. სამუშაო კომისიების მუდმივ შემადგენლობაში შედიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები „საქცენტრმრეწვდანერგვისა“ და ვაჭრობის მუშაკთაგან, აგრეთვე გარეშე ორგანიზაციებიდან და სამრეწველო საწარმოებიდან მიწვეული სპეციალისტები.

საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ტექნიკურ ან ეკონომიკურ საკითხებზე კვალიფიციური საექსპერტო დასკვნის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნენ გარეშე კომპეტენტური სპეციალისტები საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით.

22. სამუშაო კომისიების თავმჯდომარეებს ნიშნავს საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე „საქცენტრმრეწვდანერგვის“ მუშაკთაგან. საექსპერტო საბჭოს სხდომებზე სამუშაო კომისიების თავმჯდომარეები წარუდგენენ საექსპერტო საბჭოს ინფორაციას მათდამი რწმუნებული სამუშაო კომისიების სხდომებზე საკითხის განხილვის შედეგების შესახებ და შეაქვთ განსახილველად საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი ამ საკითხზე.

23. სამუშაო კომისიების მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავს „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დირექტორი. სამუშაო კომისიების სხდომები უნდა ტარდებოდეს განსახილველი ნიმუშის დამამზადებელი საწარმოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

24. საექსპერტო საბჭოს ან მე-30 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევაში — „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გადაწყვეტილება ფორმდება ამ დებულების № 1 დანართის თანახმად დაწესებული ფორმის მიხედვით.

25. საექსპერტო საბჭოსა და სამუშაო კომისიების სხდომის მიმდინარეობის მიხედვით დგება ოქმი ამ დებულების № 2 დანართის თანახმად დაწესებული ფორმის შესაბამისად. სხდომის ოქმს ხელს აწერენ საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე და ტექნიკური მდივანი ან სამუშაო კომისიის თავმჯდომარე და ტექნიკური მდივანი.

III. საექსპერტო საბჭოს ძირითადი ამოცანები

26. საექსპერტო საბჭოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— განახორციელოს ერთიანი ტექნიკური და საასორტიმენტო პოლიტიკა სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის დარგში მომხმარებელთა მოთხოვნილების ამსახველი მონაცემების საფუძველზე საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და გაუმჯობესების, საქონლის ტექნიკური დონის, ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლების მიზნით მოსახლეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის;

— ჩამოაყალიბოს და წარუდგინოს რესპუბლიკის საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს, სამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს წინადადებანი „საქცენტრ-

მრეწვდანერგვის“ ნიმუშების მიხედვით სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების სახალხო მოხმარების ახალი თანამედროვე და უკმარი საქონლის სამრეწველო ათვისების შესახებ;

— შეიმუშაოს დამამზადებელი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოებისათვის რეკომენდაციები სერიულად გამოსაშვები პროდუქციის გასინჯვის შედეგების მიხედვით;

— განიხილოს და შეათანხმოს სამაკეტო (საცდელი) ნიმუშები ახალი და უკმარი საქონლის სერიული წარმოების მომზადების დაწყებამდე, აგრეთვე დაამტკიცოს „საქცენტრმრეწვდანერგვის“ ნიმუშების მიხედვით, აგრეთვე დამმუშავებელი ორგანიზაციების ან უშუალოდ დამამზადებელი საწარმოების ინიციატივით შემუშავებული სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშ-ეტალონები დასადგენი სერიის (პირველი სამრეწველო პარტიის) ეტაპზე;

— დაამტკიცოს სავაჭრო ქსელში გასაშვებად ახალი საქონელი დასადგენი სერიის (პირველი სამრეწველო პარტიის) ეტაპზე დადგენილი წესით დამტკიცებული ნიმუშ-ეტალონების თანახმად.

IV. ნომენკლატურა საქონლისა, რომელზეც საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებით მტკიცდება ნიმუშ-ეტალონები და გაშვება სავაჭრო ქსელში

27. საექსპერტო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ნიმუშ-ეტალონებს და მიიღებს გადაწყვეტილებას სავაჭრო ქსელში სახალხო მოხმარების შემდეგი არასასურსათო საქონლის გაშვების შესახებ:

— სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1982 წლის 3 აგვისტოს № 154 ბრძანების № 1 და 2 ნუსხების თანახმად:

— „საქცენტრმრეწვდანერგვის“ ნიმუშების მიხედვით დამზადებული, აგრეთვე „საქცენტრმრეწვდანერგვის“ მიერ დამმუშავებლისათვის მიცემული ნიმუშების გამოყენებით დამუშავებული სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების უკლებლივ ყველა საქონელი;

— საცალო სახელმწიფო ვაჭრობისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსრ სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებათა, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებში ათვისებული ახალი და უკმარი საქონელი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ძირითადი პროფილის პროდუქციის გარდა.

უკმარ საქონელს მიეკუთვნება უკმარი საქონლის რესპუბლიკურ ნუსხაში შეტანილი საქონელი, მათ შორის:

— დამმუშავებელ ორგანიზაციათა, აგრეთვე უშუალოდ დამამზადებელ საწარმოთა ან ცალკეულ ავტორთა ინიციატივით დამუშავებული საქონელი;

— რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების მიერ იმ პროდუქციის საწარმოებლად დაყენების წესით ათვისებული საქონელი, რომელიც წინათ აითვისეს სხვა საწარმოებში „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დავალებით ან დამამზადებელ საწარმოთა ინიციატივით.

28. საექსპერტო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მხოლოდ იმ საქონლის ნიმუშ-ეტალონებს და სავაჭრო ქსელში გაშვებას, რომელიც დამუშავებულია „საქცენტრმრეწვდანერგვის“ ნიმუშების მიხედვით. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ძირითადი პროფილის დანარჩენი პროდუქცია საექსპორტო საბჭოს სხდომებზე განხილვას არ ექვემდებარება.

29. საქონლის შესაფუთავი, აგრეთვე იარლიყები, ეტიკეტები და სიმბოლიკა განიხილება წარდგენილ ნიმუშთან ერთად როგორც მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. საქონლის შესაფუთავი ნიმუშ-ეტალონის სახით ცალკე დამტკიცებას, როგორც წესი, არ ექვემდებარება.

30. კონსტრუქტორული და (ან) ტექნოლოგიური თვალსაზრისით უმარტივესი საქონლის ნიმუშ-ეტალონების განხილვასა და დამტკიცებას და სავაჭრო ქსელში გაშვებას ახორციელებს უშუალოდ „საქცენტრმრეწვდანერგვა“ საექსპერტო საბჭოს დავალებით მისი თავმჯდომარის ხელმოწერით ამ დებულების № 3 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმით, მიუხედავად იმისა, ათვისებულია თუ არა იგი მისი ნიმუშების გამოყენებით ან დამამზადებელ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ინიციატივით. ამ შემთხვევაში „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გადაწყვეტილება არ გამოაქვთ საექსპერტო საბჭოს განსახილველად და საბოლოოდ ითვლება, ხოლო „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დირექტორი ხელს აწერს მთელ დოკუმენტაციას საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარის უფლებით.

31. საქონლის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და შეთანხმება ხორციელდება „საქცენტრმრეწვდანერგვის“ ძალებით საექსპერტო საბჭოს სხდომაზე ნიმუშ-ეტალონების განხილვა-დამტკიცებამდე.

V. ახალი საქონლის ნიმუშ-ეტალონების განხილვა-დამტკიცების და სავაჭრო ქსელში გაშვების წესი

32. დამტკიცებას ექვემდებარება სერიული პროდუქციის ნიმუშები, რომლებიც დამზადებულია საკონსტრუქტორო და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებული ტექნოლოგიის თანახმად, სერიული ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და მოწყობილობის გამოყენებით.

33. დასამტკიცებლად ირჩევენ საქონლის ხუთ ნიმუშს დამამზადებელი საწარმოს ტექნიკური კონტროლის სამსახურის მიერ მიღებული დასადგენი სერიის (პირველი სამრეწველო პარტიის) ნაკეთობებიდან. შერჩეული ნიმუშები განიხილება დამამზადებელი საწარმოს ტექნიკური საბჭოს (კომისიის) სხდომაზე.

34. ტექნიკური საბჭოს (კომისიის) დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე დამამზადებელი საწარმო (ორგანიზაცია) ავსებს ნიმუშთა იარლიყებს 15.002-78 სახსტანდარტის მიხედვით. იარლიყები გაფორმებული უნდა იყოს, უნდა შეიცავდნენ საჭირო მონაცემებს, ხელს უნდა აწერდნენ შემთანხმებელი ორგანიზაციები, დასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ხელმოწერა, გერ-

ბიანი ბეჭედით დამოწმებული. იარლიყი მაგარი ძაფით უნდა იყოს მიმაგრებული ნიმუშზე.

35. ნიმუშები უნდა წარედგინოთ შესათანხმებლად საუწყებო სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოებს შემდეგი დოკუმენტაციის თანხლებით:

— სტანდარტი (ტექნიკური პირობები ან ტექნიკური აღწერილობა);

— პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის რუკები 2.116.71 სახსტანდარტის მიხედვით;

— საექსპლუატაციო დოკუმენტი 2.601-68 სახსტანდარტის მიხედვით;

— ცნობა საპროექტო ფასის შესახებ ან დამამზადებლის წინადადება დროებითი საცალო ფასის შესახებ;

— ცნობა წარმოების საგეგმო და შესაძლო მოცულობის შესახებ წლების მიხედვით.

შენიშვნა: თუ დამამზადებელი საწარმოს (ორგანიზაციის) სისტემაში შექმნილი არაა საუწყებო სამხატვრო-ტექნიკური საბჭოები, ნიმუშები და დოკუმენტაციის კომპლექტი გადაეცემა უშუალოდ საექსპერტო საბჭოს „საქცენტრმრეწვდანერგვის“ მეშვეობით წარდგენის წერილთან ერთად ამ დებულების № 4 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით.

36. საუწყებო სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოებს, აგრეთვე რესპუბლიკის ეკონომიკურ რეგიონში განლაგებულ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) საბჭოებსა და კომისიებს გამოაქვთ თავიანთი გადაწყვეტილებანი მხოლოდ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექტის შეფასების, ხსენებული საქონლის ასორტიმენტის, ტექნოლოგიურობის, ტექნიკური დონის, ესთეტიკისა და სამომხმარებლო თვისებათა კომპლექსისადმი თანამედროვე მოთხოვნების შეფასების საკითხებზე. ტექნიკური დოკუმენტაციისა და ნიმუშების სამომხმარებლო თვისებათა ექსპერტიზის შედეგების მიხედვით 15.001-73 სახსტანდარტის თანახმად ფორმდება საექსპერტო დასკვნა და სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს (კომისიის) გადაწყვეტილება.

შენიშვნა: სახალხო მოხმარების ახალ სახეობათა საქონლის სამომხმარებლო თვისებათა ექსპერტიზა ხორციელდება სახალხო მოხმარების ახალ სახეობათა საქონლის სამომხმარებლო თვისებათა ექსპერტიზის ჩატარების წესის შესაბამისად, რომელიც 1977 წლის 31 მარტს დაამტკიცეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ.

37. განხილვის დადებითი შედეგების შემთხვევაში დამამზადებელი საწარმო გადასცემს საექსპერტო საბჭოს განსახილველად „საქცენტრმრეწვდანერგვის“ მეშვეობით ტექნიკურ დოკუმენტაციას (საუწყებო სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილება, 35-ე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის კომპლექტი, საექსპერტო დასკვნა ტექნიკური დოკუმენტაციისა და სახალხო მოხმარების ახალი საქონლის სამომხმარებლო თვისებათა შესახებ 15.001-73 სახსტანდარტისა და 15.008-81 სახსტანდარტის თანახმად, სხვა დოკუმენტები დამამზადებელი საწარმოს, მთავარი სამინისტროსა და საუწ-

ყებო სამხატვრო საბჭოს შეხედულებისამებრ) და საქონლის ნიმუშებს გაფორმებული იარლიყებითურთ წარმომადგენლის წერილთან ერთად ამ დებულების № 4 დანართით გათვალისწინებული ფორმის მიხედვით.

38. „საქცენტრმრეწვდანერგვა“ წარდგენილი მასალების მიღებიდან სამი დღის ვადაში აცნობებს დამამზადებელ საწარმოს ნიმუშებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის თარიღს.

ნიმუშები და ტექნიკური დოკუმენტაცია განხილული უნდა იქნეს საექსპერტო საბჭოს უახლოეს სხდომაზე, თუ ხსენებული მასალები „საქცენტრმრეწვდანერგვაში“ შემოვიდა სხდომის დღემდე არა უგვიანეს 10 დღით ადრე.

კონსტრუქტორული და (ან) ტექნოლოგიური თვალსაზრისით უმარტივესი საქონლის ნიმუშები და ტექნიკური დოკუმენტაცია განხილული უნდა იქნეს „საქცენტრმრეწვდანერგვაში“ მასალების შემოსვლის დღიდან არა უმეტეს 10 დღის ვადაში.

39. საექსპერტო საბჭო ან „საქცენტრმრეწვდანერგვა“ განიხილავენ წარდგენილ დოკუმენტაციასა და საქონლის ნიმუშებს ამ დებულებით დადგენილი წესით და განხილვის დადებითი შედეგების შემთხვევაში მიიღებენ გადაწყვეტილებას ნიმუშ-ეტალონებად წარდგენილი ნიმუშების დამტკიცებისა და სავაჭრო ქსელში ამ საქონლის გაშვების შესახებ.

რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს ან „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გადაწყვეტილების ფორმა მოყვანილია ამ დებულების დანართში.

მონაცემებს განსახილველ საქონელზე მოთხოვნილების შესახებ წარადგენს „საქცენტრმრეწვდანერგვა“.

შენიშვნა: დამამზადებლისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებათა დადება ამ დებულების განაყოფის თანახმად ნომენკლატურის ფარგლებში საქონლის მისაწოდებლად, აგრეთვე დროებითი სახელშეკრულებო ან სხვა ფასების შეთანხმება, ისევე როგორც ამ საქონლის მუდმივი საპრეისკურანტო ფასების არსებობისას ხორციელდება მხოლოდ ნიმუშ-ეტალონების დამტკიცებისა და სავაჭრო ქსელში საქონლის გაშვების შესახებ საექსპერტო საბჭოს (ან მისი დავალებით — „საქცენტრმრეწვდანერგვის“) გადაწყვეტილებათა საფუძველზე;

ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევით სავაჭრო ქსელში საქონლის მისაწოდებლად ხელშეკრულებათა დადების შემთხვევაში საექსპერტო საბჭოს ან მისი დავალებით „საქცენტრმრეწვდანერგვას“ უფლება აქვს დააყენოს ზემდგომი ორგანოების წინაშე საკითხი ასეთ ხელშეკრულებათა გაუქმების და ამ წესის დამრღვევ ორგანიზაციათა და პირთა მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ.

40. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო საბჭო ან „საქცენტრმრეწვდანერგვა“ უარს ამბობს წარდგენილი ნიმუშების ნიმუშ-ეტალონებად დამტკიცებაზე, საექსპერტო საბჭოს ან „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გადაწყვეტილება არ ფორმდება, ხოლო დამამზადებელ საწარმოს გადაეცემა საექსპერტო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი ან „საქცენტრმრეწვდანერგვის“ წერილი, რომელშიც აღინიშნება უარის მიზეზები.

ამ შემთხვევაში დამამზადებელი საწარმო ნიმუშ-ეტალონების დამტკიცებაზე უარის მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ წარადგენს ნიმუშებს ხელახლა განსახილველად და თან დაურთავს ახსნა-განმარტებითს ბარათს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

41. საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე „საქცენტრმრეწვდანერგვა“ აფორმებს იარლიყს ამ დებულების № 5 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით ნიმუშ-ეტალონის თითოეული ეგზემპლარისათვის და პლომბავს ნიმუშ-ეტალონებს, რომელთა ორი ეგზემპლარი და დოკუმენტაციის ერთი კომპლექტი 37-ე პუნქტის თანახმად რჩება შესანახად „საქცენტრმრეწვდანერგვაში“. დანარჩენი ნიმუშ-ეტალონები უბრუნდება დამამზადებელ საწარმოს სხვა ორგანიზაციებისათვის გადასაცემად და დადგენილი წესით დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

VI. საექსპერტო საბჭოს უფლებები

42. ძირითადი ამოცანების შესაბამისად და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების პროცესში საექსპერტო საბჭოს უფლება აქვს:

— განიხილოს და დაამტკიცოს ნიმუშ-ეტალონები და მიიღოს გადაწყვეტილება სავაჭრო ქსელში სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის გაშვების შესახებ ამ დებულების IV განაყოფის თანახმად გათვალისწინებული ნომენკლატურის ფარგლებში;

— გამოიტანოს გადაწყვეტილებანი გაუმჯობესებული ხარისხის საქონლისათვის განსახილველი საქონლის მიკუთვნების შესახებ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1977 წლის 13 მაისს — 13 ივნისს დამტკიცებული გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალი საქონლის დროებითი ფასების თაობაზე ინსტრუქციის შესაბამისად, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ გაუმჯობესებული ხარისხის საქონელი არა მარტო უნდა სჯობდეს წინათ წარმოებულ საქონელს ხარისხის, გამძლეობის, ტექნიკური მონაცემების, გამოყვანის, ფასონის, მოდისადმი შესაბამისობის და სხვა მონაცემების მიხედვით არამედ აგრეთვე უნდა სარგებლობდეს გადიდებული მოთხოვნილებით მოსახლეობაში.

გაუმჯობესებული ხარისხის ასეთ საქონელს მიეკუთვნება:

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ატესტაციაგავლილი (დადგენილი წესით) ახალი საქონელი;

საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე ჟიურის ან სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწონებული ნიმუშების, აგრეთვე „საქცენტრმრეწვდანერგვის“ მიერ შეთავაზებული საზღვარგარეთული წარმოებული ნიმუშების მიხედვით დამზადებული ახალი საქონელი;

ახალი კონსტრუქციების, ორიგინალური მოდელებისა და ფასონების ახალი საქონელი, რაც ასახავს მოდის მიმართულებას, გაუმჯობესებული გამოყვანისა და კოროლისტიკის, გადიდებული საიმედოობისა და გამოსადეგობის ვადის ახალი საქონელი, რომელიც დამზადებულია ახალი სახეობების ან ახა-

ლი კომპოზიციების ნედლეულის და მოდური მასალების ან ფურნიტურის გამოყენებით, დამატებითი ტექნოლოგიური ოპერაციების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საქონლის სამომხმარებლო, საექსპლუატაციო და სხვა თვისებების და გარეული გაფორმების გაუმჯობესებას;

— გამოიტანოს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ სამრეწველო სამინისტროთა, უწყებათა, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებათა და სამრეწველო საწარმოთა წარმოების გეგმებში შეტანილი იქნეს ახალი თანამედროვე და უკმარი საქონელი „საქცენტრმრეწვდანერგვის“ ფონდის სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების ნიმუშების მიხედვით;

— განსაზღვროს სამრეწველო სამინისტროთა, უწყებათა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოთა მონაწილეობით საწარმოთა მიერ სერიულად გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურები და გასინჯვის ვადები და გამოიტანოს გადაწყვეტილებანი გასინჯვის შედეგების მიხედვით, მათ შორის მოძველებული საქონლის წარმოებიდან მოხსნის და ახლით შეცვლის, მისი წარმოების შემცირების ან მოდერნიზაციის და გამოშვების გადიდების შესახებ;

— მოისმინოს სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების წარმომადგენელთა ინფორმაციები სახალხო მოხმარების საქონლის ათვისებისა და მოდერნიზაციის თაობაზე „საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ დადებული ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

— მოისმინოს საექსპერტო საბჭოს სამუშაო კომისიების, საუწყებო სამხატვრო და ტექნიკური საბჭოების წარმომადგენელთა ინფორმაციები გაწეული მუშაობის და საქონლის ტექნიკური დონის ასამაღლებლად ასორტიმენტის გასაფართოებლად, ესთეტიკისა და სამომხმარებლო თვისებების გასაუმჯობესებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგების შესახებ და გამოიტანოს გადაწყვეტილებანი ხსენებული საბჭოებისა და კომისიების საქმიანობის შეფასებით;

— მიანიჭოს დამმუშავებელ ორგანიზაციებს, დამამზადებელ საწარმოებსა და ცალკეულ ავტორებს დიპლომები ახალი თანამედროვე საქონლის შემუშავებისა და საწარმოებლად დაყენებისათვის, აგრეთვე საქონლის სამომხმარებლო თვისებათა გაუმჯობესების მიზნით მისი მოდერნიზაციისათვის და სახალხო მოხმარების უკმარი საქონლის წარმოების გაფართოებისათვის;

— გამოიტანოს გადაწყვეტილებანი „საქცენტრმრეწვდანერგვის“, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებათა და სამრეწველო საწარმოთა ფონდიდან პრემირების შესახებ სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის ათვისებისა და სერიული წარმოებისათვის.

VII. საექსპერტო საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობანი

43. საექსპერტო საბჭოს წევრებს უფლება აქვთ:

— მონაწილეობა მიიღონ გამოტანილი საკითხების საქმიან განხილვაში, შეიტანონ წინადადებანი წარმოდგენილი ნიმუშების შესაფასებლად და საექს-

პერტო საბჭოს ოქმებისა და გადაწყვეტილებების რედაქციის თაობაზე. საექსპერტო საბჭოს წევრებს კენჭისყრის დროს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ;

— მონაწილეობა მიიღონ საექსპერტო საბჭოს სამუშაო გეგმების შედგენასა და განხილვაში;

— წამოაყენონ ცალკეული საკითხები საექსპერტო საბჭოს სხდომებზე განსახილველად;

— გაეცნონ მასალებს, ნიმუშებს და მიიღონ ინფორმაციები ყველა საკითხზე, რომლებიც საექსპერტო საბჭოს საქმიანობას განეკუთვნება.

44. საექსპერტო საბჭოს წევრები მოვალენი არიან:

— კვალიფიციური და ობიექტური შეფასება მისცენ განსახილველ ნიმუშებსა და დოკუმენტაციას თავიანთი, როგორც ტექნიკური ექსპერტის, კომპეტენციის ფარგლებში;

— დაესწრონ სხდომებს და მიიღონ აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობა საექსპერტო საბჭოს ყოველმხრივ საქმიანობაში;

— აქტიურად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე.

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულების დანართი № 1

საექსპერტო საბჭოს ან „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გადაწყვეტილების ფორმა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

„საქცენტრმრეწვდანერგვა“

რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №

198 წლის „ “ _____

I. საწყისი მონაცემები სახალხო მოხმარების ახალი საქონლის განხილული ნიმუშების შესახებ.

1. ნაკეთობის სრული დასახელება, მარკა (ტიპი) _____

2. სახსტანდარტი, დარგობრივი სტანდარტი, რესპუბლიკური სტანდარტი, ტექნიკური პირობა, ტექნიკური დასაბუთება _____

3. დამამზადებელი საწარმოს სრული დასახელება _____

_____

4. დამამზადებელი საწარმოს დაქვემდებარება _____

5. ნაკეთობა დამუშავდა და დაყენებულია საწარმოებლად:

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ 198 წლის „ “ _____ დადებული № ——— ხელშეკრულებით.

კი არა — „საქცენტრმრეწვდანერგვის“ ნიმუშის მიხედვით (საზღვარგარეთული წარმოებისა)

კი არა — „საქცენტრმრეწვდანერგვის“ საზღვარგარეთული წარმოების ნიმუშების გამოყენებით

კი არა — წინათ სხვა საწარმოებში ათვისებული პროდუქციის საწარმოებლად დაყენების წესით

კი არა — დამამზადებელი საწარმოს ინიციატივით, მათ შორის წინათ სხვა საწარმოებში ათვისებული პროდუქციის საწარმოებლად დაყენების წესით

კი არა — ავტორის ამხ. _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

_____

(სამუშაოს ადგილი, მისამართი, თანამდებობა)

ინიციატივით.

6. განხილული ნიმუშები დამამზადებელი საწარმოს (ორგანიზაციის) 198 წლის „ “ _____ № —— წარსადგენი წერილის თანახმად

———————— ცალის ოდენობით შერჩეულ იქნა დასადგენი სერიის (პირველი სამრეწველო პარტიის) ნაკეთობებიდან და დაეკრა იარლიყები 15.002 სახსტანდარტის მიხედვით.

7. წარმოების (დამამზადებელი საწარმოს მონაცემების მიხედვით) და მოთხოვნილების მოცულობა (საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით)

მოცულობა (ათასი ცალი)	198	წ.	198	წ.	198	წ.
დასაგეგმი						
შესაძლო						
მოთხოვნილება						

II. წარმოდგენილი ნიმუშები განიხილა ————————————

(საექსპერტო საბჭომ, სამუშაო

კომისიამ, „საქცენტრმრეწვდანერგვამ“)

და რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დებულების შესაბამისად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

2.1. დამტკიცდეს წარმოდგენილი ნაკეთობის ნიმუშები ნიმუშ-ეტალონებად უშენიშვნოდ (შენიშვნებით), რაც ჩამოყალიბებულია ამ გადაწყვეტილების დანართში.

2.2. „საქცენტრმრეწვდანერგვამ“ დაპლომბოს ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ნიმუშ-ეტალონები გადაწყვეტილების დამტკიცების დღიდან 5 დღემდე ვადაში, თუ შენიშვნები არაა, და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ დამამზადებელი საწარმოს შეტყობინების დღიდან 10 დღის ვადაში.

კონტროლი ნაკლოვანებათა მთლიანად და ხარისხიანად აღმოფხვირასთვის დაეკისროს „საქცენტრმრეწვდანერგვას“.

2.3. დამტკიცდეს სავაჭრო ქსელში გასაშვებად სახალხო მოხმარების განხილული ახალი საქონელი დაპლომბილი ნიმუშ-ეტალონების შესაბამისად, მე-2 პუნქტის თანახმად.

2.4. განსაკუთრებული გადაწყვეტილებანი:

2.4.1. გაუმჯობესებული ხარისხის ახალი საქონლისათვის ნაკეთობათა დამტკიცებული ნიმუშების მიკუთვნების შესახებ (სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახალხო მოხმარების ახალი საქონლის დროებითი ფასების ინსტრუქციის შესაბამისად)

———————————————————————————————

———————————————————————————————

2.4.2. დამამზადებელი საწარმოს პრემირების შესახებ („საქცენტრმრეწვდანერგვის“ დებულების შესაბამისად პრემიები გაიცემა სავაჭრო ქსელში საქონლის გაშვების შემდეგ) ————————————

———————————————————————————————

2.4.3. „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დიპლომით დამამზადებელი საწარმოს ან პერსონალურად ავტორის დაჯილდოების შესახებ ——————————

——————————————————————————————

2.4.4. სხვა გადაწყვეტილებანი: ——————————————————

——————————————————————————————

3. დადგენილი წესით დამტკიცებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დებულების შესაბამისად ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს დამტკიცებული ნაკეთობის საცალო ფასის (დროებითი, მუდმივი, საპრეისკურანტო) მისაღებად და სავაჭრო ქსელში ნაკეთობათა მიწოდების თაობაზე ხელშეკრულებათა დასადებად.

დანართი: —————— ფურც.

ბ. ა.

„ “ —————— 198 წ.

შენიშვნა: 1. გადაწყვეტილების ციფრობრივი ნომრის წინ დაისვას ინდექსი:
სს — საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებით;
სკ — საექსპერტო საბჭოს სამუშაო კომისიის გადაწყვეტილებით;
ცენტრი — „საქცენტრმრეწვდანერგვის“ გადაწყვეტილებით.
2. გადაწყვეტილებათა ნუმერაცია გაკეთდეს ცალ-ცალკე ინდექსების მიხედვით

№ ———— გადაწყვეტილების
დანართი

შენიშვნები და წინადადებანი ———————————— ნი-
(ნაკეთობის სრული დასახელება)

მუშის განხილვის შედეგების შესახებ

№№ რიგ.	შენიშვნები და წინადადებანი	შენიშვნა შესრულების შესახებ

ბ. ა. „საქცენტრმრეწვდანერგვის“ დირექტორი

„ “ ———— 198 წ.

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულების დანართი № 2

საექსპერტო საბჭოს ან სამუშაო კომისიის სხდომის ოქმის ფორმა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

„საქცენტრმრეწვდანერგვა“

რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭო

ო ქ მ ი № _____

_____

(საექსპერტო საბჭოს ან მისი სამუშაო კომისიის სრული დასახელება)

_____ სხდომისა

ქ. თბილისი 198 წლის „ “ _____

ესწრებოდნენ: საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, სულ _____ კაცი (სიის მიხედვით 30 კაცი), მათ შორის სავალდებულოდ დასასწრები ორგანიზაციების (დებულების თანახმად — 8 ორგანიზაციის) _____ წარმომადგენელი.

მოისმინეს: 1. დამამზადებელი საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ წარმოდგენილი ნიმუშების განხილვა.

1. _____

(დამამზადებელი, დაქვემდებარება)

_____

(ნაკეთობის სრული დასახელება, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ნომერი)

გადაწყვეტილება № _____

2. _____

(დამამზადებელი, დაქვემდებარება)

_____

(ნაკეთობის სრული დასახელება, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ნომერი)

გადაწყვიტეს: ნიმუშ-ეტალონების დამტკიცებასა და სავაჭრო ქსელში საქონლის გადაცემაზე უარი ეთქვას შემდეგი მიზეზების გამო: (მაგალითი)

1. _____

2. _____

ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შემდეგ ნიმუშები წარმოდგენილ იქნეს ხელახლა განსახილველად.

და ა. შ. ყველა განხილულ ნიმუშზე).

II. მოისმინეს: _____ დირექ-
(საწარმო, დაქვემდებარება)

ტორის ინფორმაცია _____
(ნაკეთობის დასახელება, ნორმატიულ-ტექნიკური

_____ წარმოების მზადების მიმდინა-
დოკუმენტაციის ნომერი)

რეობის შესახებ.

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან" 198____ წლის _____ დადებული № _____ ხელშეკრულების მიხედვით.

გადაწყვიტეს: 1. წინადადება მიეცეს საწარმოს ხელმძღვანელობას შეამციროს პირველი სამრეწველო პარტიის გამოშვების ვადა 2 თვით.

2. მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით აღიძრას შუმადგომლობა — _____ სამინისტროს წინაშე გაადიდოს ნაკეთობის წარმოების გეგმა _____ მდე წელიწადში.
(რაოდენობა)

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახმომარაგებას გამოჰყოს დამატებითი მასალები წარმოების მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით დამამზადებელი საწარმოს დამატებითი განაცხადის მიხედვით.

III. მოისმინეს: _____

გადაწყვიტეს: _____

(და ა. შ. მოცემულ სხდომაზე განსახილველ ყველა საკითხზე).

საექსპერტო საბჭოს შენიშვნები წარმოდგენილ ნიმუშებზე ჩამოყალიბებულია თანდართულ გადაწყვეტილებებში.

დანართები: 1. გადაწყვეტილება № სს-1
(მაგალითი) 2. გადაწყვეტილება № სს-2
ამ ოქმის განუყოფელი ნაწილია.

საექსპერტო საბჭოს
თავმჯდომარე _____

„ " _____ 198 _____ წ.

ტექნიკური მდივანი _____

„ " _____ 198 _____ წ.

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისო საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულების დანართი № 3

დავალების ფორმა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა №

რესპუბლიკური დარგთაშორისო საექსპერტო საბჭოსი

198 ——— წლის „ “ ———

„საქცენტრმრეწვდანერგვის“ დირექტორს
ამხ. ———————————

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება სახალხო მოხმარების შემდეგი ახალი და უკმარი საქონლის ნიმუშ-ეტალონების დამტკიცებისა და სავაჭრო ქსელში გაშვების შესახებ.

№№ რიგ.	დასახელება და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ნომერი	დამაზადებელი	განხილვის ვადა

საექსპერტო საბჭოს
თავმჯდომარე ———————————

„ “ ——— 198 ——— წ.

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულების დანართი № 4

წარმომადგენლის წერილის ფორმა

„საქცენტრმრეწვდანერგვის“ დირექტორს

გთხოვთ განიხილოთ _____
(ნაკეთობის სრული დასახელება)

_____ ნიმუშები იარლიყებითურთ (15.008-81 სახსტანდარტისა და 15.002-78 სახსტანდარტის თანახმად) _____ ცალის რაოდენობით, რომლებიც დამზადებულია ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით დამკვიდრებული სერიული წარმოების პირობებში და შეესაბამებიან _____
(სახსტანდრატის,

_____
დარგობრივი სტანდარტის, რესპუბლიკური სტანდარტის, ტექნიკური პირობის, ტექნიკური

_____
დასაბუთების სრული დასახელება და ნომერი)

მოთხოვნებს, და დაამტკიცოთ ისინი ნიმუშ-ეტალონებად, აგრეთვე უზრუნველყოთ ამ ნაკეთობის მიწოდება სავაჭრო ქსელში.

თან ერთვის ნიმუშების თანხლებული დოკუმენტაციის შემდეგი კომპლექტები ორ ეგზემპლარად (ასლი):

1. საუწყებო სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილება.

2. _____
(სახსტანდარტის, დარგობრივი სტანდარტის, რესპუბლიკური სტანდარტის,

_____
ტექნიკური პირობის სრული დასახელება და ნომერი)

3. პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის რუკა № _____

4. საექსპლუატაციო დოკუმენტები:

4.1. _____ № _____
(დასახელება)

4.2. _____ № _____
(დასახელება)

4.3. _____ № _____
(დასახელება)

5. ცნობა საპროექტო ან დამტკიცებული მუდმივი ფასის შესახებ.

6. ცნობა წარმოების საგეგმო და შესაძლო მოცულობის შესახებ წლების მიხედვით.

7. საექსპერტო დასკვნა სახალხო მოხმარების ახალი საქონლის ტექნიკური დოკუმენტაციისა და სამომხმარებლო თვისებების შესახებ 15.001-73 სახსტანდარტისა და 15.008-81 სახსტანდარტის თანახმად.

8. სხვა დოკუმენტები მთავარი სამინისტროს დამამზადებელი საწარმოსა და საუწყებო სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს შეხედულებისამებრ.

დამამზადებელი
საწარმოს ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)

(თარიღი)

„საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს დროებითი დებულების დანართი № 5

„საქცენტრმრეწვდანერგვის“ იარლიყის ფორმა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

„საქცენტრმრეწვდანერგვა“

ნიმუშ-ეტალონი № ———

დამტკიცებულია „საქცენტრმრეწვდანერგვასთან“ არსებული რესპუბლიკური დარგთაშორისი საექსპერტო საბჭოს მიერ.

198 —— წლის „ “ ———— № ———— გადაწყვეტილებები

დაპლომბილია „საქცენტრმრეწვდანერგვის“ მიერ „ “ —— 198 წ.

ბ. ა. დირექტორი ————————

„ “ ———— 198 წ.

(უკანა მხარე)

რეკვიზიტები

1. ნაკეთობის დასახელება ————————
2. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის № ———— მოქმედების ვადა 198—— წ. „ “ ————
3. დამამზადებელი ———— — და მისი დაქვემდებარება————
4. საცალო ფასი ————————
5. განსაკუთრებული აღნიშვნები ხარისხის შესახებ ————

უფროსი ინჟინერი საქონლის ჯგუფის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 14 დეკემბრის № 836 დადგენილებით

დროებითი დებულება

მაღაზია-სალონ „სიახლის" შესახებ

1. მაღაზია-სალონი „სიახლე", შემდგომში „მაღაზიად" წოდებული, არის საქართველოს სახალხო მოხმარების ახალი და უკმარი საქონლის წარმოებაში დანერგვის რესპუბლიკური დარგთაშორისი ცენტრის „საქცენტრმრეწვდანერგვის" (შემდგომში „ცენტრად" წოდებული) სამუშაო ორგანო.

2. მაღაზია არის სანიმუშო საცალო სავაჭრო საწარმო, იმყოფება სრულ სამეურნეო ანგარიშზე, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ბანკში, არის იურიდიული პირი და ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ხოლო ორგანიზაციულ-მეთოდური თვალსაზრისით ცენტრს.

3. მაღაზია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, მაღაზიის მუშაობის წესებით, აგრეთვე თავისი ნომენკლატურის საქონლით ვაჭრობის წესებით.

4. მაღაზიის მთავარი ამოცანაა იმ საქონლის სარეალიზაციო უნარის აპრობაცია, რომელიც წარმოებაში ინერგება ცენტრის წინადადებათა საფუძველზე შემდგომ სერიული წარმოებისათვის რეკომენდაციის მიზნით.

5. ამ მიზნით მაღაზია და ცენტრი:

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შემსწავლელი სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უშუალო მონაწილეობით:

— სწავლობს მოსახლეობის მოთხოვნას საქონელზე:

— აწყობს მყიდველთა კონფერენციებს:

— აანალიზებს ასორტიმენტის მიხედვით საქონლის გაყიდვის მიმდინარეობას;

ცენტრის ხემძღვანელობით:

— ახორციელებს ახალ ნაკეთობათა რეკლამისა და მაღაზიაში სარეალიზაციო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირების ღონისძიებებს (კონსულტაციები საქონლის დანიშნულებისა და თვისებების შესახებ, ტექნიკურად რთულ ნაკეთობათა ჩვენება მოქმედების დროს, ახალი მოდელების დემონსტრაცია და ა. შ.);

— აწყობს გაყიდვა-გამოფენებს;

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოს მონაწილეობით:

— ფართოდ იყენებს საქონლის გაყიდვის პროგრესულ ფორმებს, მომსახურებას უწევს მყიდველებს საჭირო საქონლის შერჩევასა და ბინაზე მიტანაში;

— ახორციელებს მუშაობას შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემდეგი მიმართულებების მიხედვით: შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის რაციონალური ფორმების დანერგვა, სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მომსახურების გაუმჯობესება, შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების დანერგვა, შრომის ნორმირების გაუმჯობესება;

— უზრუნველყოს საცალო ვაჭრობის სხვა საწარმოებთან მუშაობის გამოცდილების ფართო გაზიარებას საქონლის გაყიდვის მოწინავე ხერხებისა და საშუალებების ორგანიზაციასა და განხორციელებაში, იყენებს ამისათვის სხვადასხვა ფორმას (სხვა საწარმოთა მუშაკების სტაჟირება, სავაჭრო საწარმოებისათვის დახმარების გაწევა, სასწავლო სემინარები ჩატარება და ა. შ.).

6. მაღაზიას უფლება აქვს დაუდოს საქონელმწარმოებელ საწარმოს ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება საქონლის საცდელი პარტიის ზომა (რაოდენობა ან თანხა), დრო, რომლის განმავლობაშიც გასაღდება ეს პარტია მაღაზიაში, ამ საქონლის კომერციული ფასი (კ). კომერციული ფასი შედგება გაანგარიშებული საცალო ფასისა და მაღაზიის მიერ განსაზღვრული კომერციული ფასდანამატისაგან.

მაღაზიაში საქონლის საცდელი პარტიის რეალიზაციის საფუძველს წარმოადგენს ცენტრთან არსებული საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილება.

ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად კომერციული ფასის დონე მხარეთა (მაღაზიისა და მიმწოდებლის) შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ შემცირების მხრივ სპეციალური დოკუმენტის (დამატებითი შეთანხმების) შედგენის გზით.

7. საქონლის მიმწოდებლებს მაღაზია ანგარიშს უსწორებს საანგარიშსწორებო ფასებში (სავაჭრო ფასდაკლების ჩაუთვლელად).

8. გაანგარიშებული საცალო ფასის კომერციული ფასდანამატის თანხა საქონლის რეალიზაციის შემდეგ განისაზღვრება ასეთნაირად: ფასდანამატის თანხის 60 პროცენტი გადაეცემა საქონელმწარმოებლის განკარგულებაში, 5 პროცენტი ჩაირიცხება ბიუჯეტის შემოსავალში, 35 პროცენტი ჩაირიცხება ცენტრისა და მაღაზიის ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების სპეციალურ ფონდში და კონიუნქტურულ ფონდში. კონიუნქტურულ ფონდში ჩასარიცხი სახსრების ოდენობას არეგლამენტებს ცენტრის ხელმძღვანელობა.

9. ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების სპეციალური ფონდის ფულადი სახსრები ხმარდება ცენტრისა და მაღაზიის მუშაკთა მატერიალურ წახალისებას. ამ ფონდის ხარჯზე ნებადართულია პროფორგანიზაციასთან შეთანხმებით გამოეყოთ მოწინავე მუშაკებს უფასო საგზურები სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, ტურბაზებში დასასვენებლად და საზღვარგარეთ წასასვლელად, მოეწყოს უფასო კვება და გაწეულ იქნეს შრომის მაღალი შედეგების წამახალისებელი სხვა ხარჯები ფონდის

სახსრების გამოყენებით დადგენილი წესით შემუშავებული და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად. ფონდის განმკარგულებელია ცენტრი.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო მაღაზიას უწესებს ხელფასის ფონდის ნორმატივს 100 მანეთ საქონელბრუნვაზე.

მაღაზიის მუშაკთა რიცხოვნობას განსაზღვრავს, სამეურნეო მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უშუალოდ მაღაზიის დირექტორი. მაღაზია მუშაობს შრომის ბრიგადული, სანარდო-პრემიული სისტემის მიხედვით.

11. მაღაზიის მოგება ნაწილდება ასეთნაირად: მოგების 30 პროცენტი ჩაირიცხება ცენტრისა და მაღაზიის მუშაკთა ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების სპეციალურ ფონდში. მოგების დანარჩენი თანხა განაწილდება მოქმედი წესის შესაბამისად.

12. მაღაზიის ხელფასის ფონდიდან და ცენტრისა და მაღაზიის მუშაკთა ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების სპეციალური ფონდიდან გასაცემი ფულადი სახსრების ოდენობას განსაზღვრავენ — შესაბამისად — მაღაზიის ხელმძღვანელობა და ცენტრის ხელმძღვანელობა, არსებული სახსრებისა და მუშაკთა პირადი შრომითი წვლილის გათვალისწინებით.

ცენტრისა და მაღაზიის ხელმძღვანელობის მიერ ამ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებანი არავითარი მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით არ არის რეგლამენტირებული.

13. კონიუნქტურული ფონდი გამოიყენება ახალი საქონლის რეკლამირებისათვის, კონიუნქტურის შეცვლის პირობებში ფასების რეგულირებისათვის, გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვადასხვა ხარჯების გასაწევად, გაუთვალისწინებელი ზარალის დასაფარავად და სხვა მიზნებისათვის.

ფონდის განმკარგულებლის — ცენტრის ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ და საჭიროების შემთხვევაში კონიუნქტურული ფონდის გამოუყენებელი სახსრების ნაწილი შეიძლება გადაირიცხოს ინდივიდუალური და კოლექტიური სტიმულირების სპეციალურ ფონდში.

14. დებულებას მაღაზია-სალონისა და ცენტრის მუშაკთა პრემირების შესახებ შეიმუშავებს ცენტრი და დაამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

15. მაღაზია მუშაობს ექსპერიმენტული სისტემის მიხედვით საქონელბრუნვის გეგმის გარეშე გაანგარიშებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე.

16. მაღაზიის მუშაობის რეჟიმს აწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით მყიდველთათვის ყველაზე მოსახერხებელი პირობების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

17. მაღაზიის მუშაობის შემოწმებას ატარებენ შესაბამისი ორგანოები დადგენილი წესით, მისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ახორციელებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

18. მაღაზიას სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგია „საქცენტრმრეწვდანერგვის“ წარდგენით.

19. მაღაზიას აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

---

94 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 4 ოქტომბრის № 693 დადგენილება „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 21 დეკემბერი, № 843.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 21 დეკემბრის № 843 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (შემდგომში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოდ წოდებული) ქმნის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი, და კუთხოვანი შტამპი, რომელზეც აღნიშნულია მისი სრული დასახელება.

2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ექვემდებარება როგორც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ისევე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ახორციელებს ხელმძღვანელობას ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი, კოორდინაციას უწევს და წარმართავს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის იმ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საქმიანობას, რომლებიც განლაგებულია ქალაქის ტერიტორიაზე და უშუალოდ უწევენ საყოფაცხოვრებო მომსახურებას მოსახლეობას.

4. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მთავარი საწარმოების გარდა, აქვთ ორმაგი დაქვემდებარება და ექვემდებარებიან საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესაბამის რესპუბლიკურ გაერთიანებასა და ტრესტებს და ამავე დროს ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გაერთიანებისა და ტრესტების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან ურთიერთობის საკითხებს წყვეტს აღნიშნული სამინისტრო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გაერთიანებისა და ტრესტების საწარმოთა მიერ მოსახლეობისა-

თვის გასაწევი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობების ქალაქ თბილისში განვითარების საკითხები წყდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან შეთანხმებით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გადაწყვეტილებანი მუშაობის რეჟიმის დაწესებისა და დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების დისლოკაციის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დაცვის საკითხებზე, რომლებიც მიღებულია ამ დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებების შესაბამისად და შეეხება სამმართველოს მომსახურების ზონაში მოქმედ სპეციალიზებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რესპუბლიკური სპეციალიზებული გაერთიანებისა და ტრესტებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, მათდამი ტექნიკურ და მეთოდურ ხელმძღვანელობას, ხელშეკრულებათა დადებას სამარაგო ნაწილებისა და დეტალების დამამზადებელ ქარხნებთან, აგრეთვე სპეცილისტთა კადრების ცენტრალიზებულ მომზადებას, საგარანტიო რემონტის ორგანიზაციას.

6. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობას შეფასება ეძლევა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა იმ საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის საერთო მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც განლაგებულია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე.

7. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ანგარიშს აბარებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წინაშე და პასუხს აგებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა იმ ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ გეგმის შესრულებისათვის, რომლებიც განლაგებულია ქალაქის ტერიტორიაზე.

8. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბრძანებებითა და სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

9. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აქვს ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშები სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში.

II. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები

10. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— განახორციელოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხებზე;

— განამტკიცოს ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

— შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, დანერგოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმები და სახეობანი დადგენილი წესით;

— გაფართოოს შინასასისტემო კოოპერირება მომსახურების ცალკეულ სახეობათა მიხედვით;

— აამაღლოს წარმოების ტექნიკური დონე, დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებას, მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებას;

— გაშალოს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრება საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებისათვის, აგრეთვე მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის;

— დაზოგოს მატერიალური რესურსები და ფართოდ გამოიყენოს წარმოების ნარჩენები;

— განამტკიცოს სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, მიიზიდოს ამ ამოცანის გადასაწყვეტად ფართო საზოგადოებრიობა;

— სრულყოს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმები და მეთოდები;

— სრულყოს საკადრო მუშაობის ყველა ფორმა და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ კადრების სწორად შერჩევას, განაწილებას, მომზადებას, აღზრდასა და დამკვიდრებას;

— შეასრულოს ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმა, დროულად გაუსწოროს ანგარიში ბანკებსა და მიმწოდებლებს.

11. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება აქვს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ნებართვითა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით:

— შექმნას დადგენილი წესით ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ახალი ობიექტები, რომლებიც არ იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე;

— გარდაქმნას და გააუქმოს დადგენილი წესით საქვეუწყებო ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე შეცვალოს საჭირო შემთხვევებში მათი დაქვემდებარება, განახორციელოს სისტემის საწარმოთა სპეციალიზაციისა და განმტკიცების ღონისძიებანი.

12. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანებისა და ტრესტების შემადგენლობაში შემავალი ობიექტები იქმნება და უქმდება დადგენილი წესით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან შეთანხმებით. უთანხმოებას მხარეთა შორის წყვეტს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

13. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების პერსპექტიული და ბიმდინარე გეგმების პროექტებს პირდაპირი დაქვემდებარების საწარმოების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დავალებებიდან გამომდინარე, შეუთანხმებს მათ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

— მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა მიერ გასაწევი საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებულ სახეობათა განვითარების გეგმების შემუშავებაში და გასცემს დასკვნებს მათ გამო;

— გაანაწილებს საგეგმო დავალებებს პირდაპირი დაქვემდებარების საწარმოთა შორის და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი, აგრეთვე კომტროლს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გეგმების შესრულებისადმი;

— გაანაწილებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფილ ფონდებს პირდაპირი დაქვემდებარების საწარმოთა შორის, კონტროლს გაუწევს მათს დროულად ათვისებასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

— საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რესპუბლიკურ გაერთიანებასთან და ტრესტებთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მატერიალური რესურსების ეკონომია, მომსახურების თვითღირებულების შემცირება და რენტაბელობის ამაღლება;

— განახორციელებს კონტროლს შრომითი პროცესის სწორი ორგანიზაციისადმი, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების, აგრეთვე შრომის კანონმდებლობის შესრულებისადმი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, რომლებიც განლაგებულია ქალაქ თბილისში.

— კონტროლს გაუწევს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების, სამუშაო დღის რეჟიმის დაცვას, მოსახლეობის შეკვეთების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, მომსახურების კულტურას, ფასების პრეისკუ-

რანტების დაცვას, სანიტარიულ მდგომარეობას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, რომლებიც განლაგებულია ქალაქ თბილისში.

14. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს ატარებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, ხოლო მისი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციების რევიზიებს — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო აპარატი.

15. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება აქვს გაუწიოს ქალაქის მოსახლეობას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობათა ნუსხით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო მომსახურება, დანერგოს დადგენილი წესით საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმები და სახეობები, გამოუშვას მცირე პარტიებად ნაკეთობანი მოსახლეობისათვის სარეალიზაციოდ, შეასრულოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შეკვეთები უნაღდო ანგარიშსწორების წესით იმ ვარაუდით, რომ ეს მოცულობა მიეკუთვნოს საყოფაცხოვრებო მომსახურებას შესაბამისად 1-ყოფ. ინსტრუქციისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

16. ძირითადი ფუნქციების შესრულებასთან ერთად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება ენიჭება დაამზადოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის უნაღდო ანგარიშსწორების წესით ნაკეთობანი შემკვეთის მასალებით არასაყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის ფარგლებში.

III. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სახსრები

17. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსათვის მიჩენილი ძირითადი საშუალებანი და საბრუნავი სახსრები შეადგენენ მის საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა აისახება სამმართველოს ბალანსში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბალანსი წარედგინებათ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და სხვა ორგანოებს იმ ვადებში და წესით, რაც გათვალისწინებულია საბუღალტრო აღრიცხვისა და ბალანსების შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტის შესაბამისად.

18. საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობას (ნორმატივს) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უწესებს მისი წარდგენით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, და იგი შეიძლება შეიცვალოს წლის განმავლობაში მხოლოდ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გეგმების შეცვლასთან დაკავშირებით.

19. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო საამორტიზაციო ანარიცხებს მოახმარს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტსა და სრულ აღდგენას.

20. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მოგება ნაწილდება დადგენილი წესით მისი შემოსავალ-გასავლის ბალანსის შესაბამისად.

21. საგეგმო დავალებათა შესრულებითა და წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივის მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით მოგებისა და საამორტიზაციო ანარიცხებისაგან იქმნება ეკონომიკური სტიმულირების (მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების) ფონდები, აგრეთვე ჩაირიცხება დადგენილი წესით სახსრები მუშაკთა პრემირებისათვის, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სამუშაოებისათვის და ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელად. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ამ ფონდებს ქმნის და იყენებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IV. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სტრუქტურა

22. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნიშნავს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელსა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს და ათავისუფლებს მათ მოვალეობათა შესრულებისაგან (შემდგომში სამმართველოს უფროსი მტკიცდება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან შეთანხმებით.

23. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი:

— მოქმედებს მინდობილობის გარეშე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს ყველა საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განაგებს სამმართველოს ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით, ხსნის სამმართველოს ანგარიშსწორების ანგარიშსა და სხვა ანგარიშებს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებში;

— წარადგენს სარჩელებს და პასუხს აგებს მათ გამო სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში;

— ამტკიცებს დებულებებს სამეურნეოანგარიშიან საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა შესახებ;

— ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობისადმი და პასუხს აგებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და შრომის, საფინანსო და საწარმოო

დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ შრომითს კოლექტივებში გეგმაზომიერად მიმდინარეობდეს უკომპრომისო ბრძოლა საბჭოური ცხოვრების წესისათვის უცხო ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოდ იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ნომენკლატურისათვის მიკუთვნებულ მუშაკებს;

— იყენებს სამმართველოს მუშაკთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს.

24. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მომსახურების ზონაში განლაგებულ სპეციალიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელ და სხვა მუშაკებს სამუშაოდ იღებენ და სამუშაოდან ითხოვენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესაბამისი რესპუბლიკური გაერთიანება და ტრესტები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან წინასწარი შეთანხმებით.

25. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აპარატის შენახვისათვის განსაზღვრული სახსრების შესაბამისად აღნიშნული სამმართველო თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით ამტკიცებს საქვეუწყებო ობიექტების ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატებს.

26. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კანონით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 1984 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IV-85 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 6,5, სააღრიცხვო თაბახი 6,5

შეკვეთა 263 უე 05108 ტირაჟი 1700

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.